პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 142 (10536)	ოთხშაბათი, 20 ივნისი, 1956 წ.	ფასი 20 კაპ.

სასოფლო პარტიული ორგანიზაციების საგლეისო ამოცანა

დიდი და პასუხსაგები ამოცანებია დასახული ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის წინაშე. პარტიის XX ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია მეექვსე ხუთწლედის ბოლოსათვის მარცვლეულის წარმოება აყვანილ იქნას 11 მილიარდ ფუთამდე, ამასთან მნიშვნელოვნად გადიდდეს კარტოფილის, ჭარხლის, მზესუმზრას და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება. ამ გრანდიოზული პროგრამის შესრულებისათვის, სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან საქართველოს პარტიული ორგანიზაციები. ისინი სათავეში უდგანან რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა საწარმოო აქტივობას, მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლის ნიშნით წარმართავენ მათს ენერგიას.

წინა წლებთან შედარებით წელს რესპუბლიკაში ნათესი ფართობი გადიდდა, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ამაღლება ძირითადად მიღწეულ უნდა იქნას მოსავლიანობის გადიდებით. ღრმად აქვთ რა შეგნებული ამ ამოცანის მნიშვნელობა, რესპუბლიკის მოწინავე კოლმეურნეობებმა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა დაძლიეს წლევანდელი გაჭიანურებული ზამთრითა და დაგვიანებული გაზაფხულით წარმოშობილი სიძნელეები, მაღალხარისხოვნად შეასრულეს მინდვრის სამუშაოები, გააუმჯობესეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-დამუშავება. კოლმეურნეებისა და მექანიზატორების თავდადებული, მაღალნაყოფიერი შრომის შედეგად საკოლმეურნეო მინდვრებში ბარაქიანი მოსავალი მოდის. ბევრ კოლმეურნეობაში უკვე დაიწყო ბუნებრივი და ნათესი ბალახების თიბვა. აქა-იქ ქერის მკასაც შეუდგნენ. გაავლის რამდენიმე დღეც, და რესპუბლიკაში გაჩაღდება თავთავიანი კულტურების მასობრივი აღება.

მოსავლის აღება ყველაზე პასუხსაგები საქმეა მარცვლეულის მეურნეობაში. იგი სეზონური სამუშაოა და დიდ სისწრაფეს, შეუფერხებელ მუშაობას მოითხოვს. რაც სწრაფად, შემჭიდროებულ ვადებში ავიღებთ მოსავალს, მით უფრო ნაკლები იქნება დანაკარგი, მით უფრო დიდ მოსავალს მივიღებთ.

წარმატებანი მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღების საქმეში ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოემზადებიან კოლმეურნეობები და მტს-ები ამ პასუხსაგები სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის. იქ, სადაც პარტიული ორგანიზაციები მთელი სერიოზულობით მოეკიდნენ და სათავეში ჩაუდგნენ მოსავლის აღებისათვის მზადებას, ეს სამუშაო უკვე დამთავრებულია, ყველაფერი გაკეთებულია და მხოლოდ პურის შემოსვლას ელოდებიან, რომ მკას შეუდგნენ.

წითლის, წნორის, ასურეთის მტს-ებში და მათი ზონის თითქმის ყველა კოლმეურნეობაში პარტიული ორგანიზაციების თაოსნობით დროულად დაიწყეს და წარმატებით დაამთავრეს მოსავლის აღებისათვის ძზადება. შეაკეთეს და წესრიგზე მოიყვანეს კომბაინები, ავტომობილები და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, მოამზადეს მოძრავი სახელოსნოები, გაწმინდეს მარცვალშესანახი საწყობები, დეზინფექცია გაუკეთეს მათ, შეადგინეს მოსავლის აღების გრაფიკი, გაითვალისწინეს, მოამზადეს და მოიმარაგეს ყოველივე, რაც საჭირო იქნება მოსავლის აღების დღეებში და უზრუნველყოფს შეუფერხებელ მუშაობას. რა თქმა უნდა, ეს პარტორგანიზაციები არ სჯერდებიან მხოლოდ საკითხის განხილვას და დადგენილების მიღებას, არამედ ამასთან ერთად ეწევიან ორგანიზატორულ მუშაობას, სისტემატურად ამოწმებენ შესრულების მიმდინარეობას და უზრუნველყოფენ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებას.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი მტს-ები და კოლმეურნეობები ჯერ კიდევ არ არიან მზად ან სუსტად ემზადებიან მოსავლის აღებისათვის, რაც პირველ რიგში ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობით აიხსნება. ახალციხის რაიონის სოფელ აგარის საბჭოთა არმიის სახელობის კოლმეურნეობაში ასობით ჰექტარ ფართობზე მწიფდება მარცვლეული კულტურები. კოლმეურნეები უხვ მოსავალს მოელიან. მაგრამ მოსავლის აღებისათვის მზადებაში აქ სრულ უპასუხისმგებლობას იჩენენ, არადამაკმაყოფილებლად იყენებენ მზადების დარჩენილ გადამწყვეტ დღეებს. ურმების ნაწილი შეუკეთებელია, შეძენილი არ არის მოსავლის აღებისათვის საჭირო ინვენტარი. მარცვალშესანახი საწყობები შესაკეთებელი და წესრიგზე მოსაყვანია. ამ პასუხსაგები სასოფლო-სამეურნეო კამპანიის შეუფასებლობით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ დღემდე კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას არ უმსჯელია მოსავლის აღებისათვის მზადების საკითხებზე, რომ კომუნისტები და პირველ რიგში პარტბიუროს მდივანი ნ. გაჩეჩილაძე ურიგდებიან სერიოზულ ნაკლოვანებებს მოსავლის აღებისათვის მზადებაში.

ამჟამად გადაუდებელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებია ბუნებრივი და ნათესი ბალახების თიბვა, სათოხნი და ტექნიკური კულტურების დამუშავება და თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებისათვის მზადება. სასოფლო პარტიული ორგანიზაციების უპირველესი ამოცანაა დარაზმონ კოლმეურნეები და მექანიზატორები ამ სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის. პარტიული ორგანიზაციების მთელი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა სწორედ ამ ამოცანას უნდა დაექვემდებაროს. აგიტატორთა საუბრები, პოლიტიკური მოხსენებები, ლექციები, ელვა ფურცლები, კედლის გაზეთები და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველა საშუალება ხელს უნდა უწყობდეს მშრომელთა ფართო მასების აქტივობის განვითარებას, მათი შეგნებულობის ამაღლებას, ბუნებრივი და ნათესი ბალახების თიბვის, ტექნიკური და სათოხნი კულტურების დამუშავების დავალების წარმატებით შესრულებას, სათიბი მანქანებისა და კულტივატორების მაღალნაყოფიერ, შეუფერხებელ მუშაობას, მოსავლის აღებისათვის სწრაფად და ყოველმხრივ მომზადებას. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან შეამჩნიონ ნაკლოვანებანი ამ სამუშაოთა მიმდინარეობაში და გააჩაღონ ორგანიზატორული მუშაობა ნაკლოვანებათა სწრაფად გამოსასწორებლად, მხარი დაუჭირონ ყოველივე ახალს, მოწინავეს. თავიანთ მუშაობაში ისინი უნდა ეყრდნობოდნენ მასებს, განამტკიცებდნენ მათთან კავშირს, ითვალისწინებდნენ და განახორციელებდნენ მშრომელთა საქმიან წინადადებებს. მიმდინარე მომენტის ეს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მით უფრო სწრაფად და ხარისხიანად შესრულდება, რაც უფრო მტკიცე და სისტემატური იქნება კონტროლი პარტიული ორგანიზაციების მიერ, რაც უფრო ფართო მასები მიიღებენ მონაწილეობას ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში.

წელს რესპუბლიკაში დიდი რაოდენობით დაითესება სიმინდი ნაწვერალზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოსავლის აღების პარალელურად გაჩაღდება მუშაობა სიმინდის ნაწვერალზე დასათესად, რაც კიდევ უფრო დაძაბულს გახდის მოსავლის აღების კამპანიას. საჭიროა ეს გაითვალისწინონ სასოფლო პარტიულმა ორგანიზაციებმა და მუშაობა ისე მოაწყონ, რომ უზრუნველყოფილ იქნას თივის აღებისა და სათოხნი და ტექნიკური კულტურების დამუშავების დავალების წარმატებით შესრულებასთან ერთად პურეულის მოსავლის აღებისათვის მზადებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, მზადების დარჩენილი დღეების მაქსიმალური ნაყოფიერებით გამოყენება და ყველა მტს-ისა და კოლმეურნეობის ყოველმხრივი მომზადება მოსავლის აღებისათვის. ეს არის სასოფლო პარტიული ორგანიზაციების სადღეისო საბრძოლო ამოცანა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ა. წ. 19 ივნისს 93 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი გეოლოგიისა და გეოგრაფიის დარგში და სახელგანთქმული მოგზაური, სოციალისტური შრომის გმირი, აკადემიკოსი ვლადიმერ ათანასეს-ძე ობრუჩევი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მეგობრობისადმი მიძღვნილი მიტინგი

19 ივნისს მოსკოვში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მეგობრობისადმი მიძღვნილი მიტინგი. სტადიონის ტრიბუნები გაჭედილი იყო დედაქალაქის მშრომელებით — საწარმოთა და მშენებლობათა მუშებით, მოსკოვის ოლქის კოლმეურნე გლეხობის წარმომადგენლებით, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეებით, სტუდენტებით, საბჭოთა არმიის მეომრებით. სულ სტადიონზე იყო 80 ათასზე მეტი კაცი. მიტინგი ტრანსლირებულ იქნა რადიოთი და მოსკოვის ტელევიზიით.

სტადიონის ტრიბუნები მორთულია იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, წითელი ქსოვილებით, რომლებზეც წარწერილია ლოზუნგები: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხთა ურღვევ ძმურ მეგობრობასა და თანამშრომლობას“, „ძმური სალამი იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ხალხებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ!“.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელ მოღვაწეთა ყოფნა საბჭოთა კავშირში მკაფიოდ გამოხატავს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხთა ურღვევ ძმურ მეგობრობას, მათ განუხრელ მისწრაფებას უზრუნველყონ და შეინარჩუნონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, შეინარჩუნონ და განამტკიცონ მთელი მსოფლიოს მშვიდობა.

საღამოს 5 საათია. სტადიონის ცენტრალურ [illegible] იუგოსლავიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი მოღვაწეები. ტრიბუნაზე მყოფნი ადგნენ და „ვაშას“ შეძახილებით, მეგობრული [illegible] იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის და სსრ კავშირის ხელმძღვანელებს. პიონერებმა ყვავილების თაიგულები მიართვეს მათ. დიდხანს არ დამცხრალა მქუხარე ტაში.

მიტინგი გახსნა მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ნ. ი. ბობროვნიკოვმა. მიტინგზე გამოვიდნენ მოსკოვის მეტალურგიული ქარხნის „სერპ ი მოლოტის“ მუშა ამხ. მ. ი. ლეონოვი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ი. გ. პეტროვსკი. შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც მქუხარე ტაშით შეხვდნენ. მას სიტყვა არაერთხელ შეაწყვეტინეს ხანგრძლივი ტაშით.

სტადიონზე კვლავ გაისმა ერთსულოვანი მხურვალე ტაში, როდესაც სიტყვა მიეცა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს ოსიპ ბროზ ტიტოს. მისი სიტყვაც მქუხარე ტაშით დაჯილდოვეს.

მიტინგის შემდეგ გაიმართა სპორტული გამოსვლები. (საკდესი).

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო მოსკოვში

18 ივნისს იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო და მისი თანმხლები პირები გაემგზავრნენ მოსკოვის ახლოს მდებარე აეროდრომ „კუბინკაზე“.

იუგოსლავიის სახელმწიფო მოღვაწეებთან ერთად აეროდრომზე იყვნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, ავიაციის მთავარი მარშალი პ. ფ. ჟიგარიოვი და სხვები.

აეროდრომ „კუბინკაზე“ საპატიო სტუმრებმა ნახეს რეაქტიული თვიფრენავების — ავიაგამანადგურებლებისა და ბომბდამშენების ფრენა. მათ უჩვენეს აგრეთვე ერთეული და ჯგუფური უმაღლესი პილოტაჟი. (საკდესი).

დარბაზობა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საელჩოში

18 ივნისს იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ველკო მიჩუნოვიჩმა დარბაზობა გაიმართა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის იოსიპ ბროზ ტიტოს პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყვნენ: იოსიპ ბროზ ტიტო მეუღლითურთ, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩის თავმჯდომარის მოადგილე ედვარდ კარდელი მეუღლითურთ, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი კოჩა პოპოვიჩი მეუღლითურთ, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩის წევრი მიიალკო ტოდოროვიჩი, ხორვატიის სახალხო რესპუბლიკის აღმასრულებელი ვეჩის თავმჯდომარე იაკობ ბლაჟევიჩი, რესპუბლიკის პრეზიდენტის გენერალური მდივანი იოჟე ვილფანი, შინაგან საქმეთა სახელმწიფო მდივნის მოადგილე ჯურო სტანკოვიჩი, სახელმწიფო მდივნის მოადგილე საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილის კაბინეტის შეფი ანტონ ვრატუშა, რესპუბლიკის პრეზიდენტის ოქმის შეფი სლოვენ სმოდოკა, უმაღლესი თავთავსარდლის კაბინეტის უფროსი გენერალ-პოდპოლკოვნიკი მილოშ შუმონია, პრეზიდენტის მთავარი ადიუტანტი გენერალ-მაიორი მილან ეჟეელი, ეკონომიური დაგეგმვის საკავშირო სამმართველოს დირექტორის მოადგილე ნიკოლა ჩობელიჩი და იუგოსლავიის მთავრობის დელეგაციის სხვა წევრები.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი მეუღლითურთ, ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიკოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, ნ. ს. ხრუშჩოვი, გ. კ. ჟუკოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ა. მუხიტდინოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, პ. ნ. პოსპელოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები შ. რ. რაშიდოვი, კ. მ. ოზოლინი, ო. ვ. კუუსინენი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ა. კუჩერენკო, ვ. ვ. მაცკევიჩი, მ. ვ. ხრუნიჩევი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, საბჭოთა კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იუგოსლავიაში ნ. პ. ფირიუბინი, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრები, საბჭოთა კავშირის მარშლები, მინისტრების მოადგილეები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დარბაზობაზე იყო ინდოეთის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი დოქტორი ს. რადჰაკრიშნანი, რომელიც მოსკოვში იმყოფება.

დარბაზობაზე აგრეთვე იყვნენ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიური დელეგაციის წევრები საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს წევრის, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ფინანსების საქმეთა საკავშირო სახელმწიფო მდივნის ავდო ხუმოს მეთაურობით.

სტუმართა შორის იყვნენ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან სსრ კავშირში, საელჩოებისა და მისიების თანამშრომლები.

დარბაზობის დაწყების წინ შესრულებულ იქნა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

დარბაზობაზე მყოფთათვის გაიმართა დიდი სიმფონიური კონცერტი რუსი, საბჭოთა და იუგოსლავი კომპოზიტორების ნაწარმოებთაგან. (საკდესი).

დარგაზოგა ეგვიპტის საელჩოში

18 ივნისს ეგვიპტის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში მოჰამედ ა. ელ კუნიმ დარბაზობა გამართა ეგვიპტის ეროვნული დღესასწაულის — დამოუკიდებლობისა და რესპუბლიკის დღის გამო.

დარბაზობაზე საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ ნ. ა. ბულგანინი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიკოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, ნ. ა. მუხიტდინოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ა. მალიშევი, ი. თ. თევოსიანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის მინისტრები და მინისტრების მოადგილეები, მარშლები და გენერლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, სამღვდელოების წარმომადგენლები, მეცნიერების მოღვაწეები, მწერლები, მსახიობები.

დარბაზობაზე იყო ინდოეთის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი ს. რადჰაკრიშნანი.

სტუმართა შორის იყვნენ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან სსრ კავშირში, საელჩოებისა და მისიების თანამშრომლები. (საკდესი).

მოსკოვიდან გაემგზავრა ინდოეთის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი ბ-ნი ს. რადჰაკრიშნანი

19 ივნისს საბჭოთა დედაქალაქში ოთხი დღის ყოფნის შემდეგ მოსკოვიდან ალმა-ატას გაემგზავრა ინდოეთის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი ბ-ნი სარვაპალი რადჰაკრიშნანი. იგი იმოგზაურებს საბჭოთა კავშირში და ესტუმრება ყაზახეთს, უზბეკეთს, აზერბაიჯანს, უკრაინის დედაქალაქ კიევს.

დილის ცხრა საათისათვის ცენტრალურ აეროდრომზე ინდოელი სტუმრის გასაცილებლად მოვიდნენ ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, მ. ზ. საბუროვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე კ. მ. ოზოლინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების მინისტრი ი. ა. ბენედიქტოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. ბობროვნიკოვი, საბჭოთა კავშირის უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე პროფესორი ა. ი. დენისოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების განყოფილების გამგე ბ. მ. ვოლკოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი და სხვა ოფიციალური პირები.

აეროდრომზე იყვნენ დიპლომატიური საელჩოებისა და მისიების მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან მოსკოვში. ინდოეთის ვიცე-პრეზიდენტმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ კ. მ. ოზოლინმა ჩამოუარეს საპატიო ყარაულს. შესრულებულ იქნა ინდოეთის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

გაფრენის წინ ბ-ნმა რადჰაკრიშნანმა წარმოთქვა მოკლე სიტყვა.

— მეგობრებო! — თქვა მან. — ბედნიერი ვარ, რომ შესაძლებლობა მომეცა რამდენიმე დღე გამეტარებინა მოსკოვში და გავცნობოდი იმ ცვლილებებს, რომლებიც აქ მოხდა, აგრეთვე გავცნობოდი საბჭოთა ხელმძღვანელებისა და საბჭოთა ხალხის განწყობილებას.

როცა არის ძალის — სამხედრო და სამრეწველო ძალის შეგნება და უშიშროება გარანტირებულია, ხოლო რიგითი ადამიანის მატერიალური კეთილდღეობა რამდენადმე უზრუნველყოფილია, საჭირო ხდება ადამიანის კულტურის ამაღლება და ამისათვის ყველა პირობის შექმნა. თუ თქვენ მისცემთ განათლებასა და ეკონომიურ შესაძლებლობებს, ამას მოჰყვება სხვა სიკეთეც. აი რა ხდება აქ. და მე იმედი მაქვს, რომ საბჭოთა ხელმძღვანელები განუხრელად წავლენ პროგრესული, ჰუმანიტარული, ლიბერალური და აყვავებული სახელმწიფოს შექმნის გზით.

მე მადლობელი ვარ საბჭოთა მთავრობისა ამ შემთხვევისათვის, რომელიც მან მომცა, აგრეთვე მისი გულკეთილობისა და სტუმართმოყვარეობისათვის ჩემს მიმართ. მოუთმენლად მოველი ამ კვირაში შუა აზიის რესპუბლიკებში ჩასვლას, რაც, იმედი მაქვს, უაღრესად სასარგებლო იქნება ჩემთვის.

მე მინდა გადავცე საბჭოთა მთავრობასა და საბჭოთა ხალხს გულითადი სურვილები ინდოეთის მთავრობისა და ხალხის სახელით.

საბჭოთა მთავრობის წევრებმა ვიცე-პრეზიდენტი გააცილეს თვითმფრინავამდე და ბედნიერი მგზავრობა უსურვეს ინდოელ სტუმარს. ადიოდა რა ტრაპით, ბ-ნი რადჰაკრიშნანი გამოეთხოვა გამცილებლებს. ერთი წუთის შემდეგ თვითმფრინავი ჰაერში იყო და აიღო გეზი აღმოსავლეთისაკენ.

ვიცე-პრეზიდენტთან ერთად საბჭოთა კავშირში საბოგზაუროდ წავიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე შ. რ. რაშიდოვი, ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი მეუღლითურთ და სხვა პირები. (საკდესი).

იემენის მემკვიდრე პრინცი სოხუმში

სოხუმი, 18 ივნისი. (საკდესი). 17 ივნისს ბაქოდან სოხუმში ჩამოვიდნენ იემენის მემკვიდრე პრინცი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი. მისი სამეფო უმაღლესობა ემირი სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრი, რომელიც სსრ კავშირში იმყოფება საბჭოთა მთავრობის მოწვევით, და მისი თანმხლები ოფიციალური პირები. იემენელ სტუმრებთან ერთად ჩამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ა. იბრაჰიმოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ოქმის უფროსი გ. ი. ფომინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგის მოადგილე დ. ს. სოლოდი.

სოხუმის აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო იემენის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით, ემირ სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრს შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. დ. ჩუბინიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. კუტავა, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ს. ი. არშბა, აფხაზეთის ასსრ მინისტრები, საზოგადოებრივობის წარმომადგენლები.

სიტყვა წარმოთქვა რა მიკროფონთან აეროდრომზე, მ. დ. ჩუბინიძე გულთბილად მიესალმა საბჭოთა ხალხის მეგობარ იემენის წარმომადგენლებს.

იემენის მემკვიდრე პრინცმა ემირმა სეიფ ულ-ისლამ მოჰამედ ელ-ბადრმა საპასუხო სიტყვაში მხურვალე მადლობა გადაიხადა მეგობრული შეხვედრისათვის.

იემენის მემკვიდრე პრინცი და მისი თანმხლები პირები 17 ივნისს ეცნობოდნენ სოხუმის ღირსშესანიშნაობებს. მათ დაათვალიერეს ბოტანიკური ბაღი, ტყეპარკი სოხუმის მთაზე და სხვა ადგილები. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ს. ი. არშბამ სადილი გაამართა იემენის მემკვიდრე პრინცის პატივსაცემად. სადილმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

18 ივნისს დილით იემენელი სტუმრები კატერით გაემგზავრნენ ბიჭვინთის კონცხზე, ხოლო იქიდან ავტომანქანებით რიწის ტბაზე.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და სახელმწიფო შესყიდვის წლის პირველი ნახევრის გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ საქართველოს სსრ რესპუბლიკაში 1956 წლის 10 ივნისისათვის

რძე

წლის პირველი ნახევრის გეგმა შესასრულეს		
გურჯაანის	რაიონმა	100%
გარდაბნის	„	100%
ჩოხატაურის	„	100%
მცხეთის	„	100%
ბოლნისის	„	100%
გორის	„	100%
ჩამორჩებიან:		
ლენტეხის	რაიონი	99%
ყაზბეგის	„	99%
ცხაკაიას	„	99%
ადიგენის	„	99%
მესტიის	„	99%
ონის	„	99%

მატყლი

წლის პირველი ნახევრის გეგმა შესასრულეს		
გარდაბნის	რაიონმა	100%
თიანეთის	„	100%
გარეჯის	„	100%
გურჯაანის	„	100%
მაიაკოვსკის	„	100%
მახარაძის	„	100%
ქუთაისის	„	100%
ჩამორჩებიან:		
ბოგდანოვკის	რაიონი	99%
ბორჯომის	„	99%
წულუკიძის	„	99%
გეგეჭკორის	„	99%
მაიაკოვსკის	„	99%
ხობის	„	99%
ცაგერის	„	99%
ზუგდიდის	„	99%
საჩხერის	„	99%
წალენჯიხის	„	99%
ჩხოროწყუს	„	99%
ჭიათურის	„	99%
თიანეთის	„	99%
აფხაზეთის	ასსრ	„
ფოთის		რაიონი
დუშეთის	„	99%
ბორჯომის	„	99%
ფინის	„	99%

ხორცი

წლის პირველი ნახევრის გეგმა შესასრულეს		
ჭიათურის	„	99%
დუშეთის	„	99%
ზესტაფონის	„	99%
გარდაბნის	რაიონმა	ორჯონიკიძის „
ფოთის	„	აფხაზეთის ასსრ „
ბოლნისის	„	ბოგდანოვკის რაიონი
ჩამორჩებიან:		
მესტიის	რაიონი	თერჯოლის „
ყაზბეგის	„	ახმეტის „
ლენტეხის	„	წალენჯიხის „
		ბორჯომის „

კვერცხი

წლის პირველი ნახევრის გეგმა შესასრულეს		
ასპინძის	რაიონმა	99%
ჩოხატაურის	„	99%
ახალციხის	„	99%
წითელწყაროს	„	99%
საგარეჯოს	„	99%
ბოგდანოვკის	„	99%
ამბროლაურის	„	99%
გურჯაანის	„	99%
ჩხოროწყუს	„	99%
სოღლაღის	„	99%
გარდაბნის	„	99%
წალენჯიხის	„	99%
ბორჯომის	„	99%
თიანეთის	„	99%
ჩამორჩებიან:		
გეგეჭკორის		რაიონი
ყვარლის		„
ქარელის		„
სამხრეთ ოსეთის ა. ო.		
მარნეულის		რაიონი
ზესტაფონის		„
წყალტუბოს		„
დმანისის		„
საჩხერის		„
ლანჩხუთის		„
ლაგოდეხის		„
გორის		„
ცხაკაიას		„
მაიაკოვსკის		„
ჭიათურის		„

საზეიმო თემაზე

სიმწიფის ატესტატით — წარმოებაში!

ცხარე, ამაღელვებელ დღეებს განიცდიან ახლა საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელები. მთავრდება სასწავლო წელი, დასასრულს უახლოვდება სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდები. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის ისსნება დამოუკიდებელი ცხოვრების ფართო გზა.

ფიქრობენ რა თავიანთ მომავალზე, ჩვენი სკოლების კურსდამთავრებულებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წავიდნენ იქ, სადაც მეტ სარგებლობას მოუტანენ ხალხს, სამშობლოს, დამოუკიდებელი ცხოვრების პირველივე დღეები მიუძღვნან კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლას.

ჩვენი რესპუბლიკის საშუალო სკოლების მოსწავლეთა შორის მზურვალე გამოხმაურება ჰპოვა პარტიისა და მთავრობის მიმართვამ ახალგაზრდა პატრიოტებისადმი — სამუშაოდ წავიდნენ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ რაიონებში ახალშენებებზე. პარტია ახალი საგმირო საქმეებისათვის მოუწოდებს ჩვენს სახელოვან ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, და ისინიც მზად არიან გაამართლონ დიდი ხლობა.

პარტიისა და მთავრობის მიმართვის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის განმავლობაში ქუთაისის ასობით ახალგაზრდამ გადაწყვიტა წავიდეს ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ რაიონებში. ამავე ქალაქის მე-6 საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელთა უმრავლესობამ გადაწყვიტა სიმწიფის ატესტატი გაეშუროს წარმოებაში და დაუსწრებლად მიიღოს უმაღლესი განათლება. მეთერთმეტეკლასელი ნოდარ ხეცურიანი სამუშაოდ მიდის კოლმეურნეობაში, გრიგორ შალამბერიძე, კუკური მალლაფერიძე, გუგული ქობულაძე და სხვები მუშაობას დაიწყებენ ქალაქის სხვადასხვა საწარმოში. ქუთაისელ ახალგაზრდებს ვ. ფაჩიაშვილს (მე-14 სკოლა), რ. მიქაუტაძეს (მე-7 სკოლა), გ. ქომეთიანს (21-ე სკოლა) და სხვებს გადაწყვეტილი აქვთ იმუშაონ საავტომობილო ქარხანაში, ა. ჩაბაკაურს, ნ. შარვაძეს, ე. გაბადაძეს (მე-12 სკოლა) და სხვებს — აბრეშუმის კომბინატში.

გასულ წელს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში სამუშაოდ წავიდნენ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი რეზო მდივანი, ოთარ ცერცვაძე, უშანგი კიკნაძე, გიორგი აგიაშვილი, გუგული თავბერიძე და სხვ. ისინი დაეუფლნენ ზეინკლის, მექურის პროფესიებს, პულტისა და ამწის მართვას. წლითიწლობით იზრდება საშუალო სკოლის იმ კურსდამთავრებულთა რიცხვი, რომლებიც მუშაობენ საკოლმეურნეო ფერმებსა და მემინდვრეობის ბრიგადებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის დიადი ამოცანის განხორციელებაში, გულმოდგინედ სწავლობენ მოწინავეთა გამოცდილებას, პრაქტიკულ მუშაობაში იყენებენ იმ ცოდნას, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მიიღეს.

აღნიშნული ფაქტები მოწმობენ, რომ ჩვენს ახალგაზრდობას სახელისა და ღირსების საქმედ მიაჩნია აქტიური მონაწილეობა მიიღოს შემოქმედებითს შრომაში, პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

მშობლიური სიამაყის გრძნობით აცილებენ მასწავლებლები თავიანთ აღზრდილებს, რომლებიც სიმწიფის ატესტატით ხელში მიეშურებიან შრომითი ცხოვრებისაკენ. პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციების, სახალხო განათლების ორგანოების ამოცანაა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდებს დამოუკიდებელი ცხოვრების ფართო გზაზე გამოსვლაში.

წარმოებისაგან მოუწყვეტლივ იღებენ უმაღლეს ტექნიკურ განათლებას

ფოთი. (საკ. კორ.). საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი ფაკულტეტის ფოთის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი მომსახურებას უწევს ფოთისა და მისი მეზობელი რაიონების საწარმოებში მომუშავე მუშებს და საშუალო კვალიფიკაციის ტექნიკოსებს, რომლებიც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ იღებენ უმაღლეს ტექნიკურ განათლებას.

კოლხიდის სასისტემო სამმართველოში ტექნიკოსებად მუშაობენ ი. წულაია და ლ. მელქაძე. შრომას ისინი წარმატებით უთავსებენ უმაღლეს სასწავლებელში სწავლას. მ. ლაგვილავა ხობის რაიონის ხეთის საბჭოთა მეურნეობის, ხოლო ა. სიჭინავა ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის ინჟინერები არიან. მათ არა აქვთ უმაღლესი განათლება, მაგრამ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ წარმატებით სწავლობენ ფოთის დაუსწრებელ განყოფილებაში. ამჟამად აქ 120-ზე მეტი სტუდენტი იძენს უმაღლეს ტექნიკურ ცოდნას.

დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტებს მომსახურებას უწევენ როგორც ადგილობრივი, ისე ინსტიტუტიდან მოვლინებული მაღალკვალიფიციური ლექტორები.

ახალ სასწავლო წელს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფოთის დაუსწრებელი ფილიალის სამშენებლო თაკულტეტის სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა განყოფილებებში მიღებულ იქნება 50 სტუდენტი.

ავზომძღოლთა კურსები კოლმეურნეობაში

ბოლნისი. (საკ. კორ.). სოფელ მეჯვრისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რაიონულმა კომიტეტმა გახსნა ავტომძღოლთა მოსამზადებელი კურსები, სადაც 25 კოლმეურნე სწავლობს. მათ შორის არიან კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანები, ბრიგადირები, მერგოლურები.

ასეთივე კურსებია სოფელ მერეთის ბიჩურინის სახელობის კოლმეურნეობაში.

პარტიული ცხოვრება

ვიბრძოლოთ შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის

შრომის ნაყოფიერება და პროდუქციის თვითღირებულება საწარმოო საქმიანობის დამახასიათებელი ძირითადი და გადამწყვეტი მაჩვენებლებია. მათში სარკესავით ჩანს საწარმოს წარმატება თუ უუნაირათო მუშაობა. ამიტომ არის, რომ პარტიის XX ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია შრომის ნაყოფიერების განუხრელად ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხებს.

ჭიათურის სტალინის სახელობის მაღაროს პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად და გულმოდგინედ მუშაობს იმისათვის, რომ მაღალი იყოს საწარმოო საქმიანობის ეს ძირითადი და გადამწყვეტი ეკონომიური მაჩვენებლები. იანვარში ღია პარტიულ კრებაზე აქ სპეციალურად იმსჯელეს შრომის ნაყოფიერების ზრდის საკითხზე და ამ საქმეში პარტიული ორგანიზაციის ამოცანებზე. კრება წინასწარ გულდასმით მომზადდა. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ჭიათურის ქალაქკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე შ. ჩაჩანიძე. აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს ინჟინრებმა, ეკონომისტებმა, წარმოების მუშებმა. მათ აღნიშნეს, რომ მთლიანად არ არის გამოყენებული შრომის ნაყოფიერების ზრდის არსებული რეზერვები, სრული დატვირთვით არ მუშაობენ მექანიზმები, მეორე უბანში საექსპლოატაციო ცვლა 2-3 საათის დაგვიანებით იწყებს მუშაობას, სატვირთო მანქანის მემანქანეები კ. კუპატაძე და დ. მაკავარიანი არ უვლიან მანქანებს. აღინიშნა ისიც, რომ სუსტია შრომის და ტექნოლოგიური დისციპლინა. ნაკლები ყურადღება ექცევა ტექნოლოგიური პროცესების დაცვას. დაბალია წარმოების კულტურა და სხვ.

პარტიულმა კრებამ მიიღო დადგენილება და მის შესასრულებლად მაღაროს მთელი კოლექტივი დაირაზმა. მარგანეცის გამამუხვებელი ფაბრიკების მუშაობის, წარმოების კულტურის ამაღლების, მექანიზმების სრული დატვირთვით გამოყენებისა და მარგანეცის ფენის მთლიანი სიმძლავრით დამუშავების საკითხებს პარტიული ბიურო კვლავ დაუბრუნდა და თავის სხდომებზე იმსჯელა. კვლავ ითქვა და დაიწერა, რომ წარმოების კულტურის ამაღლებისათვის ბრძოლა დაიგიწყეს მადნის გამამუხვებელ ფაბრიკებში, მაღაროს მეორე, მესამე, მეექვსე და მეშვიდე უბნებში.

პარტიული კრებისა და ბიუროს სხდომის დადგენილებების შემდეგ მაღაროს პარტიულმა ორგანიზაციამ, კომუნისტებმა, განსაკუთრებული სიმტკიცით მოჰკიდეს ხელი მარგანეცის გამამუხვებელ ფაბრიკებში წესრიგის დამყარებასა და დისციპლინის განმტკიცებას. აღარ იგრძნობა ის მოდუნებულობა, რაც აქ წარმოების კულტურის ამაღლების, ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვის და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში იგრძნობოდა. განხორციელდა ღონისძიებანი მადნის გაუხვების ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებისათვის, პირველი ხარისხის მარგანეცის გამოშვების გადიდებისა და დანაკარგების შემცირებისათვის.

მაღაროს პირველი კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით მეორე ადგილზე გამოვიდა შავი მეტალურგიის სამინისტროს საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მაღაროს კოლექტივმა ვადაზე ათი დღით ადრე შეასრულა მარგანეცის სასაქონლო მადნის დამზადების ხუთი თვის დავალება. გამაუხვებელმა ფაბრიკებმა, რომლებსაც კომუნისტი ინჟინრები ვ. საღინაძე, გ. გაფრინდაშვილი და ი. თადუმაძე ხელმძღვანელობენ, მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის დავალება — 109,2 პროცენტით შეასრულეს, პირველი ხარისხის მარგანეცის გამოშვებისა — 109,5 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდისა — 106,5 პროცენტით. მარტო ოთხ თვეში პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით 391.400 მანეთი ეკონომიაა მიღებული.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მაღაროს და უბნების ხელმძღვანელები ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მექანიზმების სრული დატვირთვით გამოყენებას, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, სამუშაო დროის გონივრულ გამოყენებას, შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვას, ტექნიკური პროპაგანდისა და რაციონალიზაციაგამომგონებლობის განვითარებას. ეს ტაკივნეული საკითხებია მაღაროში. პარტიულ ორგანიზაციას ზოგი მათგანი არ ახსენდება, ხოლო ზოგზე, მართალია, იღებს დადგენილებებს, მაგრამ ბოლომდე ვერ მიჰყვება მათ, თანმიმდევრულად ვერ იბრძვის მათი განხორციელებისათვის.

საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის მხრივ ეს მაღარო სხვაზე ცუდად არ გამოიყურება, მაგრამ იდეოლოგიური მუშაობის ძირითადი ნაკლი — მისი მოწყვეტა ცხოვრებისაგან, კონკრეტული ამოცანებისაგან და განყენებული სწავლება — აქაც იგრძნობა. ამ სენისაგან თავისუფალი არ არის წარმოების ეკონომიკის შემსწავლელი სემინარიც.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიმდინარე წელს შემცირდა ლექციო-მოხსენებები წარმოების ეკონომიკის საკითხებზე. პირველ კვარტალში აქ მაღაროელებისათვის წაკითხულ იქნა ერთადერთი ლექცია სამეურნეო ანგარიშისა და წარმოების რენტაბელობის შესახებ. ლექცია წაიკითხა სახელმწიფო ბანკის ჭიათურის განყოფილების მმართველმა ვ. ფიქრიძემ. რაც შეეხება მაღაროს მომხსენებელთა ჯგუფს, მის წევრებს წელს ერთი მოხსენებაც არ წაუკითხავთ მრეწველობის ეკონომიკის, კერძოდ კი შრომის ნაყოფიერების ზრდისა და თვითღირებულების შემცირების საკითხებზე. სუსტად მუშაობს აგიტკოლექტივიც. აგიტატორთა უმრავლესობა თავიანთ საუბრებს ვერ უკავშირებს მაღაროს ცხოვრებას, სადღეისო საბრძოლო ამოცანებს.

მაღაროს პარტიული ორგანიზაციის (პარტბიუროს მდივანი ბ. ცუხიშვილი) ვალია უფრო ღრმად ჩაწვდეს მაღაროს მუშაობის ეკონომიკას, დარაზმოს მთელი კოლექტივი, თანმიმდევრულად იბრძოლოს შრომის ნაყოფიერების განუხრელად ზრდის. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და რენტაბელური მუშაობისათვის.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



გუმათაპეს № 1 მშენებლობის საერთო ხედი. ფოტო ი. საკუნისა.

მოდის ახალი მოსავალი

ყვარელი. („კომუნისტის“ კორ.). წიწკანანთსერის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ რაიონში პირველმა დაიწყო ქერის მოსავლის აღება. მომავალია პირველი 12 ჰექტარი. ყვარლის მტს-ის მესამე სატრაქტორო ბრიგადის კომბაინერმა ი. ხინჩიკაშვილმა ყოველ ჰექტარზე 14 ცენტნერი მარცვლეული გალეწა. ქერის აღებას შეუდგნენ ახალსოფლის მოლოტოვის სახელობისა და ლენინის სახელობის კოლმეურნეობებშიც.

წელს ყვარლის მტს-ი თავის ზონის კოლმეურნეობებში 6.400 ჰექტარზე აიღებს მოსავალს.

ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობაში

ცხაკაია. (საკ. კორ.). რაიონის ცენტრიდან ჩრდილოეთით, ლამაზ მთის ფერდობებზე გაშენებულია სოფელ ხორშის ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობა, რომლის კოლექტივი ჩვენი ქვეყნის საპარფიუმერიო მრეწველობას აწვდის ნედლეულს ძვირფასი ეთეროვანი ზეთებისათვის.

ამჟამად საბჭოთა მეურნეობაში დასასრულს უახლოვდება რეჰანის რგვა. მუშები ნ. ბელოუსოვა, ე. ჩებოტარიოვა, შ. დენისოვა და სხვები დღეში 3,5-4 ათას ძირ ნერგს რგავენ ნაცვლად გათვალისწინებული 2 ათასი ძირისა.

მეურნეობაში საუკეთესოდ ხარობს ყაზანლიყის ვარდი. მომდინარეობს მისი ყვავილების კრეფა. მუშებმა გადაწყვიტეს წელს ზეთსახდელ ქარხანას ჩააბარონ 15 ტონა ყაზანლიყის ვარდის ნედლეული. 50 კილოგრამი იელის ზეთის ნაცვლად ნედლეულის გადაჭარბებით გადამუშავების შედეგად მიიღეს 70 კილოგრამი ზეთი.

ჯანმრთელობის დაცვის კერა





თბილისის განაპირას, იქ, სადაც იწყება საქართველოს სამხედრო გზა, მტკვრის მარჯვენა ნაპირას ფართო ტერიტორიაზე, ლამაზ ხეივნებში მოჩანს შენობები. ამ შენობებში მოთავსებულია სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ვაქცინებისა და შრატების თბილისის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი (დირექტორი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. სირბილაძე).

ინსტიტუტის კოლექტივი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ვ. ანთაძის ხელმძღვანელობით აწარმოებს სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას მიკრობიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის ბევრ აქტუალურ საკითხზე, ამზადებს გადამდებ სნეულებათა საწინააღმდეგო მრავალ პროფილაქტიურ და სამკურნალო ბაქტერიულ პრეპარატს. ეს არის სსრ კავშირში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დაწესებულება ჯანმრთელობის დაცვის დარგში და ცნობილია როგორც ბაქტერიოფაგიის პრობლემების შემსწავლელი პირველი კერა. ამ პრობლემებზე მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ 1921 წელს. მაშინ თბილისში არსებობდა მხოლოდ ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომლის საფუძველზეც შეიქმნა დღევანდელი დიდი ინსტიტუტი.

ინსტიტუტის არსებობის განმავლობაში მისი მრავალი ათეული მეცნიერი მუშაკის მიერ შესწავლილია მთელ რიგ გადამდებ სნეულებათა (ბრუცელოზი, ნაწლავთა ინფექციები, რიკეციები და სხვ.) თავისებურებანი, რაც საფუძვლად დაედო ამ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის რაციონალური წესების გამომუშავებას. ინსტიტუტის საწარმოო განყოფილებებში მზადდება ისეთი პროფილაქტიკური და სამკურნალო საშუალებანი, როგორიც არის დიფთერიის და ტეტანუსის საწინააღმდეგო შრატები, ტუბერკულოზის, ჯილეხის (ციმბირის წყლული), დიზენტერიის, მუცლის ტიფის, ყვავილის, ცოფის პროფილაქტიკური ვაქცინები, ტეტანუსის და დიფთერიის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური საშუალება — სათანადო ანატოქსინები.

ინსტიტუტი წამყვან როლს ასრულებს სხვადასხვა სახის ბაქტერიოფაგების დამზადებაში. მის მიერ დამზადებული პრეპარატები იხმარება არა მარტო საქართველოში, არამედ დიდი რაოდენობით იგზავნება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მხარეშიც.

თბილისის ვაქცინებისა და შრატების ინსტიტუტთან არსებობს მეთოდური საბჭო, რომელიც საკავშირო მასშტაბით მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს ბაქტერიოფაგიის პრობლემებზე წარმოებულ მუშაობას.

ყოველწლიურად ეწყობა გამსვლელი სარაიონთაშორისო კონფერენციები, სადაც ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებთან ერთად მოხსენებებს კითხულობენ ადგილობრივი ექიმებიც.

სისტემატურად უმჯობესდება ინსტიტუტის საწარმოო ბაზა და ბაქტერიული პრეპარატების დამზადების ტექნოლოგია. უკანასკნელ ხანებში ჩამოყალიბებულია მთელი რიგი ლაბორატორიები — საშრატე განყოფილებასთან — შრატების გაშენდის და კონცენტრაციის ლაბორატორია, ბაქტერიების საკვები ნიადაგების დამამზადებელ განყოფილებასთან — ბიოქიმიური ლაბორატორია, აგრეთვე ინფექციურ სნეულებათა დიაგნოსტიკური მეთოდების გაუმჯობესებისა და დიაგნოსტიკუმების დამზადების ლაბორატორიები, დიფთერიის და ტეტანუსის ანატოქსინების, ჯილეხის ვაქცინის, სოკოს ფერმენტების დამამზადებელი ლაბორატორიები, რადიოაქტიური იზოტოპების გამოყენებისა და სხვ.

შექმნილია ორგანიზმზე ეფექტურად მოქმედი ბაქტერიოფაგების მიღების ორიგინალური წესი. წარმოებს მუშაობა მშრალი (ლიოფილური) პრეპარატების მისაღებად არამდგრადი ბაქტერიული პრეპარატების აქტივობის გახანგრძლივების მიზნით (ცოფის, ყვავილის ვაქცინა და სხვ.).

ამჟამად მუშაობა წარმოებს ეგრეთწოდებული გამავლობულინის წარმოების შესაქმნელად, რამაც ხელი უნდა შეუწყოს წითელას, პოლიომიელიტის, ღვიძლის ვირუსული ანთების და სხვა ვირუსულ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესებას.

ინსტიტუტთან ჩამოყალიბებულია ბაქტერიოფაგიის მუზეუმი, რომელშიც გროვდება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილას დამზადებული სხვადასხვა სახის ფაგები და წარმოებს მათი ყოველმხრივი შესწავლა.

ე. მამალაძე.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — ინსტიტუტის მთავარი კორპუსი; ზემოთ — რადიაქტიური იზოტოპების ლაბორატორიაში უმცროსი მეცნიერი მუშაკი ნ. მგალობლიშვილი გაესაზღვრავს პრეპარატების რადიაქტიურობას; ქვემოთ — საკვები ნიადაგების განყოფილებაში, პეპტონების ფერმენტაციის პროცესი უფროსი ლაბორანტი ა. შაკულოვი რეაქტორთან.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

პარჭიის დავაღებათა შესრულებისათვის ბრძოლაში

წერილების მიმოხილვა

გაეიდა მეექვსე ხუთწლედის პირველი ხუთი თვე, რაც ჩვენი რესპუბლიკის მრრომლებმა ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში პირველ წარმატებათა მოპოვებით აღნიშნეს. ფაბრიკებსა და ქარხნებში, მშენებლობებზე და საკომლეურნეო სოფლებში შემოქმედებითი შრომა ჩქეფს.

რედაქციაში ყოველდღე მოდის წერილები, რომელთა ავტორები მოგვითხრობენ საქართველოს მშრომელების შრომითს აღმავლობაზე, მოპოვებულ მიღწევებზე, აგრეთვე იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ ახასიათებს საწარმოების, სავაჭრო ორგანიზაციების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობას.

ტყიბულის ქვანახშირის გამამდიდრებელი ცენტრალური ფაბრიკის რაციონალიზატორთა მუშაობის შესახებ გვწერს კორესპონდენტი ვ. ცირეკიძე:

„ფაბრიკის გამამდიდრებელი საამქროს მომზეტ ტრანსპორტიორს ხშირად უცვლიდნენ გორგოლაჭები, რაც იწვევდა დიდ ხარჯს ახალი გორგოლაჭებისა და მილისების დასამზადებლად. საამქროს უფროსმა შ. რიკამაძემ შეიმუშავა გაცვეთილი გორგოლაჭების განახლებისა და მათი გამძლეობის განხანგრძლივების წესი, რომელიც უკვე განახორციელა. ამ წესით გაკეთებული გორგოლაჭების მუშაობა ერთისამად უფრო ხანგრძლივია. ეს ღონისძიება ფაბრიკას ყოველწლიურად 79 ათას მანეთ ეკონომიას მისცემს.“ იმავე ქარხანაში დანერგილია მოწინავე რაციონალიზატორების გ. ბოკორიშვილის, გ. ბალავაძის, უ. გაბუნაას, ა. ჯიშიაშვილის, ა. ვარდოსანიძის რაციონალიზატორული წინადადებანი, რამაც საწარმოს დიდი ეფექტი მისცა.

„კომუნისტის“ მკითხველი ი. ნუცუბიძე მოგვითხრობს თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მრავალდაზგოსან მემანქანე ლ. ალითუნაშვილის შრომითი თავდადების შესახებ. დიდი ხანი არ არის, რაც ლ. ალითუნაშვილი ფაბრიკაში მოვიდა, აქ შეისწავლა მემანქანის პროფესია და უნარიანად დაეუფლა ახალი ავტომატური სამანქანის მართვას. ახლა ახალგაზრდა ფეიქარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 12 თითისტარისა 25 თითისტარს უწევს მომსახურებას, ცვლაში 97 კილოგრამის ნაცვლად 110-115 კილოგრამ აბრეშუმის ძაფს აბრეშუმს.

გომის სპირტსახდელი ქარხნის ტექნიკური ხელმძღვანელი ტ. სარაჯიშვილი თავის წერილში გვწერს საწარმოს კოლექტივის წარმატებათა შესახებ. პირველი კვარტალის დავალება ქარხანამ 5 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით ნისცა ათასობით დეკალიტრი სპირტი. უკანასკნელ ხანებში ათვისებულია უმაღლესი ხარისხის სპირტის გამოშვება, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ლიქიორის ხარისხის გაუმჯობესებას.

როგორც ჩვენი კორესპონდენტი ი. გობეჩია გვწერს, ამ ცოტა ხნის წინათ სოხუმში აფხაზეთის ასსრ აღგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ სოხუმის რაიონის სამრეწველო კომბინატთან ერთად მოიწვია ეკონომიური კონფერენცია საშენი მასალების თვითღირებულების შემცირების ღონისძიებათა განსახილველად. კონფერენციამ გამოავლინა მთელი რიგი ნაკლოვანებანი ადგილობრივი საშენი მასალების საწარმოთა მუშაობაში. აღმოჩნდა, რომ ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა ტექნიკურ სიახლეთა დანერგვას, რაციონალიზატორთა თაოსნობას, სოციალისტური შეჯიბრების მასობრიობას, საწარმოო თათბირებს. კონფერენციამ დასახა ღონისძიებანი საშენი მასალების წარმოების საქმეში ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

წელს ტყიბულქვანახშირის ტრესტის მოლოტოვის სახელობის შახტში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელეს ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის. ამან შახტის კოლექტივს შესაძლებლობა მისცა ჩამდგარიყო მოწინავეთა რიგებში. მაგრამ შახტში ჯერ კიდევ არსებობს მრავალი ნაკლოვანება, რაც აფერხებს ქვანახშირის ამოღების შემდგომ ზრდას. ამის შესახებ შახტის ვენტილაციის უბნის უფროსი ა. გოგოძე გვწერს:

„ერთ-ერთ ხელშემშლელ მიზეზად ითვლება ის, რომ შახტის მთავარი ვენტილატორი ველარ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას ჰაერზე. დიდი ხანი არ არის, რაც ლ. ალითუნაშვილი ძლავრი სავენტილაციო კომპლექსის მოწყობის საკითხი. ორი წლის წინათ დაწყებულ იქნა მუშაობა. შეუდგნენ სავენტილატორო შენობის აგებას; მოიტანეს მოწყობილობა, მაგრამ ამის შემდეგ საქმე წინ არ დაძრულა. საინტერესოა, რა განმარტებას მოგვცემენ ამის შესახებ საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ხელმძღვანელები?“

დიდხანია ბორჯომში არსებობს არტელი „სოციალიზმი“. შარშან არტელის კოლექტივმა კარგად იმუშავა, გეგმის გადამეტებით გამოუშვა 700 ათას მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია. მაგრამ, როგორც ჩვენი კორესპონდენტი ვ. გურგენიძე გვატყობინებს, არტელს არაავითარ დახმარებას არ უწევენ საქართველოს სარეწაო საბჭო და ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები, რის შედეგადაც აგურის ქარხანა, რომელსაც ეს არტელი აშენებდა ახალდაბაში, დაუმთავრებელია, ხოლო ახლად აგებული ზოგი დამხმარე ნაგებობა დაინგრა.

ფართოდ არის ცნობილი თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლი ლადაქალის მოსახლეობაში. მაგრამ იშვიათად თუ ვინმემ იცის, რა პირობებში უხდება ანსამბლის შემადგენლობას მეცადინეობა. ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს დისპეტჩერი დ. ნადარაია გვწერს:

„ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებს ჭქონდათ კარგად მოწყობილი კლუბი. ამ 4 წლის წინათ ადმინისტრაციამ დაანგრია ეს კლუბი იმ მიზნით, რომ აეშენებინათ უფრო დიდი და კეთილმოწყობილი. მაგრამ მშენებლობა ისეთი ტემპით მიდის, რომ დღემდე სამუშაოთა ერთი მესამედიც არ არის შესრულებული. კლუბის უქონლობა კი ხელს უშლის სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლის ნორმალურ მუშაობას, ხშირად მეცადინეობას აწყობენ სასადილოში. როდემდის გაგრძელდება ასე?“

მკითხველი ნ. შეფრილაძე თავის წერილში აკრიტიკებს ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილების მუშაობას. მუშათა მომარაგების განყოფილების მუშაკებს მაღაროელთა მომსახურების გაუმჯობესების დიდი შესაძლებლობა აქვთ, მაგრამ ამ შესაძლებლობას ვერ იყენებენ. მაგალითად, სავსებით შესაძლებელია მომარაგების განყოფილებამ შექმნას მერძეობის ფერმა. ჭიათურის ახლოს არის მთის საძოვრები, სადაც შეიძლება ასობით ძროხის შენახვა. ამავე დროს არის შესაძლებლობა შეიქმნას საზამთრო საკვების სასილოსე მეურნეობა ბუნებრივი მწვანე მასის ბაზაზე.

ცნობილია, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის მთავარი ამოცანაა მიაწოდოს მოსახლეობას პირველი მოთხოვნილების საგნები, სხვადასხვა საქონელი. ჩვენი კორესპონდენტი ბ. მილიუტინი გვწერს, რომ ცხაკაიის რაიკოოპკავშირი ცუდად ამარაგებს თავის სასოფლო მაღაზიებს, ვერ უწევს მათს მუშაობას სათანადო კონტროლს. მაგალითად, სოფელ მეორე ნოსირის მაღაზიაში (გამგე დ. დუდუნაია) დიდი ხნის განმავლობაში არ ჰქონდათ საპონი. გეჯეთის მაღაზიაში იშვიათად ნახავთ საბაფხულო ტანსაცმელს და პაპიროსსაც კი. თითქმის ყოველ სავაჭროში არის მამაკაცის 37-39 ნომრის ფეხსაცმელი, მაგრამ უფრო მეტი ზომის ფეხსაცმელს ვერსად იშოვნით. ცოტა ხნის წინათ მიიღეს მამაკაცის ზედა პერანგები, მაგრამ თითქმის ყველა ერთი ზომისაა. რაიკოოპკავშირის გამგეობამ მოკლე დროში უნდა გააუმჯობესოს სოფლის მშრომელთა მომსახურება.

რკინიგზელის დღის აღსანიშნავად

თვის დავალება 12 დღეში

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი ერთსულოვნად ჩაება რკინიგზელის საკავშირო დღის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ორთქლმავალამშყობი და მექანიკურ-საკომპლექტო საამქროების მუშაკებმა, გაითვალისწინეს რა თავიანთი საწარმოო შესაძლებლობანი, იკისრეს: ივნისსა და ივლისში გეგმის გადამეტებით შეაკეთონ ერთი ორთქლმავალი, შეკეთების თვითღირებულება შეამცირონ 4 პროცენტით, რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით ქარხანას ყოველთვიურად დაუზოგონ ხუთი ათასი მანეთი, რკინიგზელის დღისათვის მოამზადონ და დამოუკიდებელ სამუშაოზე გადაიყვანონ ორი ახალგაზრდა ხერხალი.

ასეთივე გადიდებული ვალდებულებები აიღეს ქარხნის სხვა საამქროთა კოლექტივებმა, რომლებიც წარმატებით შეედგნენ მათ განხორციელებას.

ქარხნის მოწინავე ადამიანებმა — ჩქაროსანმა ხარატმა ი. ჭუმბურიძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მჭედელმა კ. ილურიძემ, მექანიკოსებმა ი. ბაბაევმა და მ. აბუაშვილმა, ზეინკლებმა პ. ბედენაშვილმა, ი. ხმალაძემ, მეყალიბე ნ. ონისიმოვმა ივნისის 12 დღეში თვიური დავალება შეასრულეს.

ქარხნის კოლექტივი, რომელმაც ხუთი თვის საწარმოო დავალება პირნათლად გაანაღდა, იბრძვის იმისათვის, რომ ახალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდეს რკინიგზელის დღეს.

ი. ბოლქვაძე,
ბ. ქაჭაჭიშვილი.

მოძმე რესპუბლიკებში

როგორი იქნება კრასნოიარსკის ჰიდროელექტროსადგური

საბჭოთა კავშირის კომუ-
ტური პარტიის XX ყრი-
ის დირექტივებით მე-
ხუთწლედში გათ-
ისწინებულია მდინარე
ენისეის წყლის ენერგიის
ებება საბჭოთა ადამიან-
ის სამსახურში. ამისათ-
ვის პარტიამ გადაწყვიტა
ედგეს ამ მდინარეზე
00 ათასი კილოვატის სი-
ავრის ჰიდროელექტრო-
ადგურის აგებას.

ერთან ტაეში, რომელიც
ასნოიარსკამდე აღწევს,
რამდენიმე წელიწა-
დ მუშაობენ ჰიდროენერ-
როელექტრის ლენინგრადის
ყოფილებიდან წასულ
ენერგო-მაძიებელთა ჯგუ-
ი.

ჰიდროენერგოპროექტი
ჰიდროელექტროსადგუ-
ის და ჰიდრონაგებობე-
ის კვლევა-ძიებისა და და-
ეგეგმვის სრულიად სა-
ოო სახელმწიფო ინს-
იტუტია, ერთ-ერთი უდი-
ესი საპროექტო ორგანი-
ცია მთელ ჩვენს სამშობ-
ლოში. მას განყოფილებები
ს, გარდა მოსკოვისა და
ენინგრადისა, თბილისში,
ალმაცოში, ბაქოში, ერევან-
ში.

ჰიდროენერგოპროექტის
ენინგრადის განყოფილე-
ა მოთავსებულია შჩორსის
ოსპექტზე. მისთვის აგე-
ილია დიდი, საუკეთესო
ადგილი. ერთ-ერთ დერ-
ეფში, რომლებიც აქ ყოვე-
ლ მიმართულებით მიჰყვე-
ნ ორ წყება ოთახებს,
ეზე წარწერაა:

„ენისეის სექტორი“.

ოთახში სადა საწერი მა-
ა დგას და მას უზის ნა-
ებით და სქემებით გა-
ოცული, არცთუ ახალ-
რდა ინჟინერი. მას
ერდზე უბრწყინავს სო-
ციალისტური შრომის გმი-
ნ ოქროს ვარსკვლავი. ეს
ს ნიკოლოზ ალექსანდ-
ოვიჩ ფილიმონოვი, კრას-
ნოიარსკის ჰიდროელექტ-
როსადგურის პროექტის
ავარი ინჟინერი, საბჭოთა
ენერგეტიკული მშენებლო-
ბის ერთ-ერთი ვეტერანი.
ფილიმონოვმა თავისი
ოფესიური კარიერა დაიწ-
ო ლენინური „გოელროს“
ბაშოს — ვოლხოვის ჰიდ-
როელექტროსადგურის მშე-
ებლობაზე. შემდეგ მან
ა პროექტა სვირისა და
ვარის მძლავრი ჰიდრო-
ელექტროსადგურები, მუ-
ობდა ვ. ი. ლენინის სახე-
ის ვოლგა-დონის სანა-
ოლო არხის მშენებლობის
ბელარი ინჟინრის მოადგი-
ლედ და აქ დაიმსახურა
სოციალისტური შრომის
ბელის წოდება.

— ენისეის ჰიდროენერ-
გორესურსების გამოყენე-
ბის გენერალური სქემის
დამუშავება, — მოგვითხ-
რო ნ. ა. ფილიმონოვმა, —
დავიწყეთ ხუთ წელზე მე-
ტი ხნის წინათ. ეს მუშაობა
ჯერ მოსკოვში მიმდინარე-
ობდა, შემდეგ ლენინგრად-
ში განვაგრძეთ. სქემა ით-
ვალისწინებს მდინარე ენი-
სეიზე სხვადასხვა სიმძლავ-
რის ჰიდროელექტროსად-
გურთა მთელი კასკადის
შექმნას. როგორც ამხანაგ-
მა გ. მ. მალენკოვმა პარ-
ტიის XX ყრილობაზე თა-
ვის სიტყვაში აღნიშნა, სა-
ერთო სიმძლავრე იმ ელექ-
ტროსადგურებისა, რომლე-
ბიც ენისეიზე უნდა ავაგოთ,
მიაღწევს 20 მილიონ კილო-
ვატამდე, ხოლო გამომუშა-
ვება 130 მილიარდი კილო-
ვატსაათი იქნება. ენისეის
კასკადის პირველი სადგური
იქნება კრასნოიარსკის ჰიდ-
როელექტროსადგური.

გენერალური სქემის და-
სამუშავებლად საჭირო გახ-
და კვლევა-ძიების, ტოპოგ-
რაფიული გადაღების, ჰიდ-
როლოგიური სამუშაოების,
ჭაბურღილთა ამოღების და
მთელ რიგ სხვა სამუშაოთა
მრავალი წლის განმავლო-
ბაში წარმოება. საკვლევა-
ძიებო პარტიების მუშაობა-
ში 300-მდე სპეციალისტი
მონაწილეობდა.

კრასნოიარსკის ჰიდრო-
ელექტროსადგურის პროექ-
ტი გენერალური სქემის
მხოლოდ ერთი ნაწილია.
ისეთი სადგურის პროექტის
დამუშავება, როგორიც
კრასნოიარსკჰესი იქნება,
თავისთავად დიდი საქმეა.
პროექტის შედგენის საქმე
დაკავშირებულია კვლევა-
ძიების მეორე ფაზის სამუ-
შაოთა შესრულების აუცი-
ლებლობასთან. ამ მეორე
ფაზის სამუშაოთა შესრუ-
ლებაში მონაწილეობს ათა-
სამდე სხვადასხვა სპეცია-
ლისტი. მათ ხელმძღვანე-
ლობს გამოცდილი ინჟინერი
გ. ა. ქაროვი.

გასულ ზამთარში მათ მე-
ტად მძიმე და რთულ პირო-
ბებში უხდებოდათ მუშაო-
ბა. მიუხედავად ამისა, ყვე-
ლა დავალება წარმატებით
შეასრულეს და ახლაც
წარმატებით განაგრძობენ
მუშაობას. ამას წინათ
ლენინგრადში ჩამოიტანეს
კინოფილმი, რომელზეც
ფიქსირებულია ციმბირის
ამ დიდი მდინარის გაყინვის
პროცესი. ფილმში გადაღე-
ბული კადრების ანალიზის
შედეგად დამპროექტებ-
ლები მიიღებენ ყველა სა-
ჭირო მონაცემს სხვადასხვა
ნაგებობათა ნახაზების შე-
სადგენად.

როგორი იქნება ეს ნაგე-
ბობები? ამხ. ნ. ფილიმონო-
ვი განმარტავს:

— ენისეის გადაღობავს
დიდი კაშხალი, რომელსაც
სიგრძე 1.200 მეტრი, ხოლო
სიმაღლე 130 მეტრი იქნე-
ბა. ეს იქნება უმაღლესი
კაშხალი მსოფლიოში. ბრატ-
სკის ჰიდროელექტროსად-
გურის კაშხალზე იგი 30
მეტრით მაღალი იქნება.

ადვილი წარმოსადგენია,
თუ წინაღობის რა დიდი ძა-
ლა ექნება ამ კაშხალს, რომ-
ლის ტანშიც უნდა მოთავს-
დეს 8 მილიონამდე კუბ-
მეტრი ბეტონი. კაშხალმა
უნდა გაუძლოს უზარმაზარ
წნევას. საინტერესოა აქ
აღინიშნოს, რომ ყოველ გა-
ზაფხულზე ამ კაშხალმა
უნდა გაატაროს 370 მილი-
ონამდე კუბმეტრი ყინუ-
ლი, რომელიც საგუბარში
დაგროვებისას, ადვილი
წარმოსადგენია, რა დიდ
წნევას გახავითარებს კაშ-
ხალის კედელზე.

ეს გიგანტური კაშხალი
ჩადუღაბებული იქნება მდი-
ნარის ფსკერის გრანიტოვან
საფუძველში და წყლის
დონეს 100 მეტრით ასწევს.
ამ კაშხალით შეიქმნება
უზარმაზარი წყალსაცავი,
რომლის სიგრძე 400 კილო-
მეტრს მიაღწევს და რო-
მელშიც 107 მილიარდი
კუბმეტრი წყალი მოთავს-
დება. მრავალი დასახლებუ-
ლი პუნქტი მოყვება წყალ-
საცავის ქვეშ და ამიტომ
ეს დასახლებული პუნქტები
წინასწარ იქნება სხვაგან
გადატანილი.

სადგურის საგენერატო-
რო შენობაში გამართული
იქნება 10 ჰიდროგენერატო-
რი თვითეული 300 ათასი
კილოვატის სიმძლავრისა.
სამანქანო დარბაზი ნახევა-
რი კილომეტრის სიგრძისა
იქნება.

კრასნოიარსკის ჰიდრო-
ელექტროსადგურისათვის
მსოფლიოში უველაზე
მძლავრ რადიალურ-ღერძო-
ვან ჰიდრტურბინებს ამზა-
დებს სტალინის სახელობის
ლენინგრადის ლითონის
ქარხანა, გენერატორებს კი
ამზადებს ურალის ელექტ-
როაპარატურის ქარხანა.

კრასნოიარსკის ჰიდრო-
ელექტროსადგურის პროექ-
ტით რაბის მოწყობა არ
არის გათვალისწინებული.
სამაგიეროდ გათვალისწინე-
ბულია ბევრად უფრო იაფი
და პრაქტიკულად მოსახერ-
ხებელი მოწყობილობის —
გემთამწეების გამართვა.

კრასნოიარსკიდან 40 კი-
ლომეტრის დაშორებით,
სამშენებლო მოედანთან, სა-
დაც ახლა სოფელი შუმიხა
არის, გათვალისწინებულია
ახალი ქალაქის გაშენება.
უკვე დაწყებულია ამ ადგი-
ლებამდე რკინიგზის ორი
ხაზის გაყვანა. მდ. ენისეის
ორივე სანაპიროზე დაწყე-
ბულია აგრეთვე საავტომო-
ბილო გზების გაყვანა და
მალე მშენებლები ძირითად
სამუშაოთა შესრულებასაც
შეუდგებიან.

ი. სმირნოვი,
„კომუნისტის“ კორესპონდენტი.



კრასნოიარსკის მხარეში ომსკ-ირკუტსკის მომავალი ნავთობსადენის ტრასზე აშენდება ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა. მშენებლობის რაიონში ამჟამად წარმოებს კვლევა და ტოპოგრაფიული გადაღება. **სურათზე:** ბურღვის ოსტატი ნ. ი. შჩეტინინი თვითმავალი საბურღავი დანადგარის „ზივ-150“-ის დახმარებით მექანიკურად ბურღავს ჭაბურღილს.

საგჯოთა მშენებლობა

ვიზრუნოთ მშოგლიური ქალაქის კეთილმოწყობისათვის

ხელოვნების ქრონიკა

მსახიობები მწყემსებთან

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიამ წელს მეორედ გაგზავნა მსახიობთა ჯგუფი გროზნოს ოლქში, ყიზლარის მინდვრებზე, სადაც საზამთრო საძოვრებზე იმყოფებოდა საქართველოს კოლმეურნეობების ცხვარი.

მწყემსების წინაშე საინტერესო რეპერტუარით გამოდიოდნენ მომღერალი გ. ნასიძე, შ. ალავიძე (მხატვრული კითხვა და ფელეტონები), მ. ვოლოვიჩი (აკორდეონი), ნ. ივანჩენკო (ორიგინალური ეანრის მსახიობი-მანიპულატორი) და აღმოსავლური ინსტრუმენტების კვარტეტი (ხ. ტალგაუკოვის ხელმძღვანელობით).

მწყემსებთან მეორედ სტუმრობა საინტერესო იყო იმით, რომ კონცერტების გამართვა მსახიობებს უხდებოდათ ღია ცისქვეშ — მინდვრად, ვინაიდან საძოვრებზე მყოფი ცხვარი დაიძრა საქართველოსაკენ — საზაფხულო საძოვრებზე. 20 დღის განმავლობაში მსახიობთა ჯგუფმა მომსახურება გაუწია 56 კოლმეურნეობას და გამართა 20 კონცერტი. მსახიობებმა კონცერტები გამართეს ბაჯიგანის მინდვრებში, ჩორნი რინოკში, სადგურ ვოზნესენსკში და გადმორეკვის მთელ ტრასაზე.

მსახიობთა ჯგუფს თან ახლდა თბილისის გარეუბნის რაიონული საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების კინომანქანა, რომელიც სისტემატურად უჩვენებდა მწყემსებს მხატვრულ კინოფილმებს.

რკინიგზელთა თვითმოქმედი თეატრი

თბილისის რკინიგზის კვანძის კლუბთან დაარსდა რკინიგზელთა ქართული თვითმოქმედი თეატრი. თეატრის დასის შემადგენლობაში არიან რკინიგზელები გ. ბოკორაშვილი, გ. ყუშიტაშვილი, ზ. ნახყოდაშვილი, დ. მთვრალაშვილი, ჯ. ნიჟარაძე, შ. გორგოძე, შ. დალაქიშვილი, ა. ლომთათიძე, გ. ბოგვერაძე, ს. ახალაძე და სხვ., აგრეთვე პროფესიონალი მსახიობები — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. მაკარაშვილი, მსახიობები ა. ხოფერია, ნ. ჭიტაიშვილი და ქ. ძაძამია, სცენისმოყვარეები ბ. გოგინავა, ჯ. ბოხუა, ბ. ტორონჯაძე, რ. აბრამიშვილი და სხვ.

ამ დღეებში რკინიგზელის სახლში თეატრმა მაყურებელს უჩვენა თავისი პირველი დადგმა. წარმოდგენილ იქნა მ. კახიძის დრამა „უადარის ციხე“.

დადგმა განახორციელა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა რეჟისორმა ო. ალექსიშვილმა, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მხატვარს ბ. ქვლიეიძეს, მუსიკის ავტორია კომპოზიტორი მ. ჩირინაშვილი, ქორეოგრაფი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. ბახტაძე.

სპექტაკლში ეპიზოდურ როლებს ასრულებდნენ და მასობრივ სცენებში მონაწილეობდნენ თბილისის მხატვრული თვითმოქმედების კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლისა და თბილისის რკინიგზის ტექნიკუმის მოსწავლეები.

ლად მოეწყობა ხეთაგუროვის ქუჩის განათება დღის სინათლით.

გასულ წელს გაფართოვდა ქალაქის აბანო. ახლა მიმდინარეობს წყალსადენის ქსელის რეკონსტრუქცია იმ ვარაუდით, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდოს სასმელი წყლის მიწოდება მოსახლეობისათვის, გაუმჯობესდეს მისი ხარისხი.

წელს ქალაქის კეთილმოწყობისათვის ერთ მილიონამდე მანეთი დაიხარჯება. ასფალტი დაიგება სტალინის ქუჩის გაგრძელებაზე, მალენკოვის, პუშკინის, ჯაფარიძის, გოგებაშვილის და სხვა ქუჩებზე. გარდა ამისა, მოიკირწყლება ახლახან გაჭრილი ბევრი ქუჩა.

კეთილმოწყობის სამუშაოები განხორციელდება კულტურისა და დასვენების პარკში, აგრეთვე ქალაქის პატარა მოედნებსა და სკვერებში, გაიხსნება პიონერთა პარკი. განსაკუთრებული უურადღება დაეთმობა საწარმოების, დაწესებულებისა და საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობას.

კეთილმოწყობის სამუშაოების ფართო მასშტაბი ახალ ამოცანებს აყენებს საქალაქო საბჭოს, დეპუტატებისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის წევრების წინაშე. ისინი ვალდებული არიან ანგარიში გაუწიონ ამმრჩეველთა მოთხოვნებს და მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ მშობლიური ქალაქის კეთილმოწყობისათვის.

ბევრი დეპუტატი ყოველდღიურად მონაწილეობს საქალაქო საბჭოს საქმიანობაში. დეპუტატ ა. ლომდარიძეს არაერთხელ მოუმზადებია და აღმასკომის სხდომის განსახილველად შეუტანია ქალაქის სანიტარული მდგომარეობის საკითხი. მისი წინადადებით საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ხეთაგუროვის ქუჩაზე შექმნა სანიტარული კვანძი, სადაც გაერთიანებული არიან ამ ქუჩის მცხოვრებლები, რომლებიც ყურადღებას აქცევენ ახლომდებარე ქუჩების სანიტარულ მდგომარეობას.

ქალაქის კეთილმოწყობის საქმეში საქალაქო საბჭოს აქტიურად ეხმარებიან დეპუტატები ნ. ფირცხელაური, ვ. კასრაძე, კ. ბელოვა, ე. ხეთაგუროვა, ლ. ჯანაშვილი და სხვები.

კეთილმოწყობის მუდმივი კომისია თავის მუშაობაში მტკიცედ ეყრდნობა აქტივს. კომისიის სხდომებს ყოველთვის ესწრებიან ექიმები, ინჟინრები, დიასახლისები, რომლებიც მონაწილეობენ ქალაქის კეთილმოწყობის სხვადასხვა საკითხის გადაჭრაში. კომისიის წევრები მ. სამადაშვილი, ქ. ძუკაევი, გ. ქოქოევი და გ. ჯიოევი აღმასკომის სხდომაზე განსახილველად აყენებენ ქალაქის კეთილმოწყობის აქტუალურ საკითხებს.

სტალინირელებს უყვართ თავიანთი ქალაქი. საქალაქო საბჭოს დეპუტატების ვალია უკეთ იმუშაონ საოლქო ცენტრის კეთილმოწყობისა და გამშვენიერებისათვის.

ს. თომაევი,
სტალინირის საქალაქო საბჭოს კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე.

* * *

სურათზე: სტალინირი. საბჭოების სახლის ხედი.

კონსულტაცია

პურეულის ორ ფაზად აღება მნიშვნელოვანი ღონისძიებაა

არცლეული თავთავიანი კულტუ-
ის მოსავლის აღება ფრიად პასუხ-
ებ საქმეა. მოსავლის აღების სამუ-
შაოთა მაღალხარისხოვნად ჩატარებაზე
მნიშვნელოვნად დამოკიდებულია კოლ-
ეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის
ოსა და სხვა პროდუქტების ჩაბა-
ის გეგმების წარმატებით შესრუ-
ება, მათი უზრუნველყოფა სათესლე
ალითა და მეცხოველეობისათვის
ალრო საკვებით, კოლმეურნეობების
ეგადოებრივი მეურნეობის განგითა-
ება და კოლმეურნეთა მატერიალური
ეალდებულების შემდგომი ამაღლება.

ურის მკა მრავალნაირ ოპერაციას
ავს: მარცლეული თავთავიანი
ლტურების აღებას და გალეწვას,
ცლის გაწმენდას და გაშრობას, ნამ-
ა და ჩალის შეგროვებას, ნაწვერა-
ს აოშვას. ამ სამუშაოებს ჩვენი მან-
ატრაქტორთა სადგურები ხშირად
ითმეორის დაცილებით ასრულებენ,
ან როცა ისინი კომპლექსურად უნდა
ენ დაკავშირებული ერთმანეთთან.

გაჭიანურება, თანმიმდევრული
ეცესების ერთიმეორისაგან დაცილე-
ა ეწევს მარცლის მნიშვნელოვან
ანაკარგებს, შრომის ნაყოფიერების
ეცრებას, პროდუქციის თვითღირე-
ებების გადიდებას. სიღნაღის რაიო-
�ულიანოვკის მტს-ის ზონის კოლ-
ურეობებში გასულ წელს მოსავლის
ება 30 დღეზე მეტ ხანს გაჭიანურდა,
ეც უკანასკნელ 10 დღეში აღებული
ითობებიდან 20 პროცენტზე მეტი
ავლის დანაკარგი გამოიწვია. ამ
ის ზონის კოლმეურნეობებში მოწ-
ილი არ იყო კომბაინებიდან მიღე-
ი მარცლის შემდგომი დამუ-
ების მექანიზაცია. მარცლის გაწ-
ა, გაშრობა, აწონა და ტრანსპორ-
ება ძირითადად ხელით წარმოებდა,
ეც მნიშვნელოვნად გაადიდა შრომის
ახარჯები, დააგვიანა სახელმწიფო-
ის პურის ჩაბარების გეგმების შეს-
რულება და გააჭიანურა ნაწვერალის
აოშვა.

მოსავლის აღების პერიოდში სამუშაოთა წარმოების ვადების შემჭიდროებისა და პროდუქციის თვითღირებულების მაქსიმალურად შემცირებისათვის საჭირო შრომის ორგანიზაციის მაღალი ფორმის—სამუშაოთა ნაკადური მეთოდით წარმოების გამოყენება. ეს მეთოდი ხასიათდება წარმოების ყველა სტადიის უწყვეტობით, მათი ზუსტი თანმიმდევრობით (იმის მიხედვით, თუ მკის რომელი ტექნოლოგია იქნება მიღებული), მოკლე საწარმოო ციკლებით. ნაკადური მეთოდი საშუალებას იძლევა აგრეთვე მკვეთრად ავამაღლოთ სამუშაოთა ხარისხი და ტემპი, მოვსპოთ მოსავლის აღების, მარცლის გაწმენდისა და გაშრობის, ჩალისა და ნამჯის დაზვინვისა და ნაწვერალის აოშვის დაშორიშორება, მინიმუმამდე შევამციროთ მკის საერთო ვადები.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ბევრი მოწინავე კომბაინერი — ვ. ყაველაშვილი ალეხის მტს-იდან, ი. დოლიძე წითლის მტს-იდან, ფ. რიჟამაძე ლაგოდეხის მტს-იდან, მ. ლაზარიაშვილი ალაზნის მტს-იდან და სხვ. მაღალნაყოფიერად იყენებს მოსავლის ასაღებ აგრეგატებს. მათ მოაწყეს კომბაინის ბუნკერის ჩამოცლა და რადიატორში წყლის ჩასხმა მანქანის გაუჩერებლად; ისინი ზუსტად, დროულად და მოკლე ვადებში ახორციელებენ მანქანების ტექნიკურ მოვლას, მოწყობილი აქვთ ელექტროგანათება, რაც საშუალებას აძლევთ მკა აწარმოონ ღამეც.

კომბაინიდან მიღებული მარცვლის დროულად და უდანაკარგოდ გადაზიდვა სამუშაოთა ნაკადური მეთოდით წარმოების აუცილებელი პირობაა. ამიტომ მკის დროს ტრანსპორტის წესიერ ორგანიზაციას და მის გამართულ მუშაობას დიდი უურადღება უნდა მიექცეს.

მარცვლეული თავთავიანი კულტურების აღების კომპლექსური მექანიზაციისა და სამუშაოთა ნაკადური მეთოდით მოწყობის განხორციელებისას ძირითადი როლი ენიჭება მარცვლის ასაღებ კომბაინს, რომელიც სხვა მანქანებთან შეწყობით მუშაობს. ჩვენი რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები ახლა კომბაინებით მარცვლეული თავთავიანი ნათესების თითქმის სამეოთხედს იღებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირში მოსავლის აღება წარმოებდა მხოლოდ ერთი ხერხით — პირდაპირი კომბაინირებით (პურეულის მთელი ფართობის კომბაინებით აღება), უგულებელყოფილი იყო სამხრეთი რაიონებისათვის ყოველმხრივ გამართლებული ხერხი — კომბაინით მოსავლის ორ ფაზად (გაყოფით) აღება. მოსავლის აღების ეს ხერხი იმაში მდგომარეობს, რომ სამუშაოთა პროცესი აქ ორ ფაზად იყოფა, პირველად წარმოებს მოსავლის აღება ფართო მოდების სამკალით (ვინდროუერი) და მომკილი მასის ნაწვერალზე გასაშრობად განლაგება, ხოლო შემდეგ წარმოებს გამხმარი პურის გალეწვა კომბაინით, რომელიც სპეციალური ამკრეფი მანქანით არის გაწყობილი.

ამ წესს ის უპირატესობა აქვს, რომ სამკალით პურის აღება უფრო ადრე შეიძლება დავიწყოთ, ვიდრე კომბაინით. პირდაპირი კომბაინირების დროს იძულებული ვართ ვიცადოთ მანამდე, სანამ პური არ გახმება და ტენიანობა არ დაიწევს იმ დონემდე, როცა პურის გალეწვა შეიძლება. ეს იწვევს მკის დაგვიანებას და მარცვლის დიდ დანაკარგებს.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებისათვის მარცვლეული თავთავიანი კულტურების ორ ფაზად აღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, კერძოდ, ისეთ რაიონებში, როგორიც არის ლაგოდეხის, ყვარლის, სიღნაღის, გურჯაანისა და სხვა, სადაც პურის პირდაპირი კომბაინირება გაძნელებულია სარეველა მცენარეების (ხვართქალა, გორველა და სხვ.) დიდი განვითარების გამო.

ამ მეთოდით მოსავლის აღებას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება მაღალმთიან რაიონებში, სადაც პურეულის მომწიფება ძლიერ იგვიანებს და საჭირო ხდება მარცვლის ხელოვნური გაშრობა. მოსავლის ორ ფაზად აღების შემთხვევაში აქ გაცილებით ადრე შეიძლება ასაღებ სამუშაოთა დაწყება, ცვლილებრ სიმწიფეში პურის მომკა, რადგანაც ბულულებად დაწყობილი მასა გაცილებით უფრო ადრე გაშრება, ვიდრე ფეხზე დგომის დროს.

მოსავლის ორ ფაზად აღება ფართოდ არის დანერგილი უკრაინის სსრ ნიკოლაევის, კიროვოგრადისა და ხარკოვის ოლქების, კრასნოდარის, სარატოვის, ბალაშოვისა და სხვა ოლქების კოლმეურნეობებსა, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ამ პროგრესული მეთოდის გამოყენების შედეგად ზემოთ ჩამოთვლილი ოლქების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს საშუალება მიეცათ პურეულის მკა დაეწყოთ 5-6 დღით ადრე, ვიდრე პირდაპირი კომბაინირების დროს. სამკალით აღებული პური 2-3 დღეში შრებოდა ისე, რომ ადვილად წარმოებდა მარცვლის გამოლეწვა კომბაინის საშუალებით. მაგალითად, გასულ წელს ნიკოლაევის ოლქის კრინიჩანსკის მტს-მა თავისი მომსახურების კოლმეურნეობებში საშემოდგომო ხორბლის აღება სამკალი მანქანებით დაიწყო 11 ივლისს, ხოლო ლეწვა 13 ივლისს, მაშინ როცა პირდაპირი კომბაინირებით მკის დაწყება შესაძლებელი გახდა მხოლოდ 16 ივლისს. კიროვოგრადის ოლქის ბობროვიცკის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობაში ორ ფაზად მოსავლის აღებას შეუდგნენ 12 ივლისს, ხოლო ლეწვას 15 ივლისს, პირდაპირი კომბაინირება კი აქ შესაძლებელი გახდა დაეწყოთ მხოლოდ 18 ივლისს. ხარკოვის ოლქის ვალკის რაიონის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობა პურეულის აღებას შეუდგა 14 ივლისს, მომკილი პური აკრეფა და ლეწვას — 18 ივლისს, ხოლო პირდაპირ კომბაინირებას — 24 ივლისს. როგორც გასული წლის გამოცდილება გვიჩვენებს, მოსავლის ორ ფაზად აღების ყველა შემთხვევაში ვიგებთ 3-4 დღეს, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს დანაკარგების შემცირებისათვის.

მიმდინარე წელს ჩვენი რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები პირველად იწყებენ თავთავიანი კულტურების მოსავლის ორ ფაზად აღებას. ამისათვის მათ გამოეყოთ 30 სამკალი მანქანა (ვინდროუერი), 30 ლაფეტი და 40 სპეციალური ამკრეფი მანქანა, მათ შორის „სტალინეც-6“ კომბაინისა და 20 თვითმავალი კომბაინისათვის.

როგორც გამოცდილებით ირკვევა, ამ მანქანების წარმადობა საკმაოდ დიდია — დღეში 20-35 ჰექტარი. მნიშვნელოვნად იზრდება აგრეთვე ამკრეფი მანქანებით გამართული კომბაინის წარმადობა პურის აკრეფისა და გალეწვის დროს.

ამიტომ საჭიროა, რომ პურეულის მკა ორ ფაზად აღების დროს დავიწყოთ მარცვლის ცვლილებრი სიმწიფის მიღწევისთანავე. არ უნდა დაგვიწყდეს, რომ პურეულის ორ ფაზად აღება სრული სიმწიფის შემთხვევაში გაცილებით უფრო მეტ დანაკარგს იწვევს, ვიდრე პირდაპირი კომბაინირება. გარდა ამისა, მაღალმოსავლიანი გრძელღეროიანი პურეულის აღების დროს ხედერის მთელი მოდებით მუშაობის შემთხვევაში მომკილი პურის შრე ძალიან მკვრივია და მისი გალეწვა მეტად ძნელდება განსაკუთრებით თვითმავალი კომბაინით. აგრეთვე დაუშვებელია პურეულის სამკალი მანქანით დაბალ ჭრაზე აღება. ჭრა უნდა წარმოებდეს 15-25 სანტიმეტრზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ამკრეფი მანქანის მუშაობა მეტისმეტად ფერხდება. ამავე დროს პურის მკა არ უნდა ხდებოდეს დახრილი ელევატორის ქვეშ მიმმართველი დამცურებელი დაფის გამოუყენებლად.

უნდა გვახსოვდეს, რომ სამკალი მანქანა ჯერ-ჯერობით კონსტრუქციულად სავსებით სრულყოფილი არ არის. ამკრეფი მანქანები თუმცა კონსტრუქციულად სრულყოფილია, მაგრამ მათი მონტაჟი და დემონტაჟი საკმაო დროს მოითხოვს, რაც იწვევს აღების პერიოდის გაგრძელებას.

ცდებით დადასტურებულია, რომ მომკილი პურის ლეწვაზე კომბაინები უმჯობესია გამოვიყენოთ ღამით, რადგან ამ დროს დანაკარგები უფრო ნაკლები იქნება. ამიტომ საჭიროა ამკრეფი მანქანებით გამართულ კომბაინებზე ელექტროგანათება მოვაწყოთ და ლეწვა ღამითაც ვაწარმოოთ. არ უნდა დავუშვათ მომკილი პურის დიდი ხნით გაულეწავად დატოვება, რადგან წვიმის შემთხვევაში შესაძლოა მარცვლის გაფუჭება. შეუწყნარებელია აგრეთვე ჩაწოლილი პურის ორ ფაზად აღება, რადგან ამ შემთხვევაში ჭრა დაბლა უნდა წარმოებდეს, რაც დიდ დანაკარგებს გამოიწვევს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებში შეექმნა ხუთწლიანი გეგმის შესახებ ნათქვამია, რომ მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება უნდა მთავრდებოდეს სულ ბევრი 10 სამუშაო დღეში ჩვენი ქვეყნის ევროპულ ნაწილში, მოსავლის აღებისას დანაკარგებთან ბრძოლის საქმეში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მარცვლეული კულტურების ორ ფაზად აღების წესის ფართოდ დანერგვას.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, მტს-ები მოწოდებული არიან მიიღონ ქმედითი ღონისძიებანი ამ მითითების განუხრელად განხორციელებისათვის. ჩვენი რესპუბლიკის მექანიზატორებს საფუძვლიანად უნდა გავაცნოთ და შევასწავლოთ მოსავლის ორ ფაზად აღების უპირატესობანი და სამუშაოთა ტექნოლოგია. საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ პირდაპირი კომბაინირების დაწყებამდე მაქსიმალურად გამოვიყენოთ მტს-ების ახალი ტექნიკა, მკვეთრად შევამციროთ მოსავლის აღების ვადები და მარცვლის დანაკარგები. მთელი ძალები დავრაზმოთ პურეულის უდანაკარგოდ აღებისათვის.

ბ. ჩუბინიძე.
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამმართველოს უფროსი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი ეგვიპტეში

ᲙᲐᲘᲠᲝ, 19 ივნისი. (საკუთარი). სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა გუშინ ვიზიტი გაუკეთა ეგვიპტის ეროვნული წარმოების საქმეთა მინისტრს ჰასან იბრაჰიმს. დ. ტ. შეპილოვს ახლდა ეგვიპტეში სსრ კავშირის საელჩოს მრჩეველი ვ. ბ. სობოლევი. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ჰასან იბრაჰიმთან მეგობრული საუბარი ჰქონდა.

დ. ტ. შეპილოვმა ინახულა აგრეთვე ეგვიპტის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი მუჰამედ აბუ ნუსეირი. შუადღისას დ. ტ. შეპილოვი შეხვდა საზოგადოებრივი სამსახურის საბჭოს გენერალურ მდივანს ფუად გალალს. უფრო გვიან ფუად გალალმა საუზმე გამართა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პატივსაცემად. საუზმეზე იყვნენ საზოგადოებრივი სამსახურის საბჭოს წევრები და ეგვიპტის სხვა თანამდებობის პირები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ეგვიპტეში ე. დ. კისელიოვი.

საუზმის შემდეგ დ. ტ. შეპილოვმა საზოგადოებრივი სამსახურის საბჭოს გენერალური მდივნის ფუად გალალს, ეგვიპტეში სსრ კავშირის ელჩს ე. დ. კისელიოვისა და სხვა პირების თანხლებით ინახულა ეგვიპტის ახალი კულტურის ერთ-ერთი კერა — სოციალური ცენტრი ბერნეშტი კაიროს მიდამოებში. ახლომახლო სოფლებიდან შეკრებილი გლეხები გულითადად შეხვდნენ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს.

სოციალური ცენტრი ბერნეშტი მდებარეობს 50 კილომეტრზე კაიროდან. იგი შეიქმნა 1955 წელს სოფლის მოსახლეობის სოციალური მომსახურების ძირეული გაუმჯობესების პროგრამის შესაბამისად, რომელიც მთავრობამ შეიმუშავა. ამ ცენტრში, რომელიც 7 სოფელს აერთიანებს, არის 15 ათასი მცხოვრები. დაწყებითი სკოლა, ბიბლიოთეკა, საავადმყოფო, ამბულატორია, სამშობიაროსახლი, ბაგა და საბავშვო ბაღი, ინტერნატები ხასკოლო ასაკის ბავშვებისათვის, შრომითი სახელოსნოები და სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

სოციალურ ცენტრთან არის საცდელი სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები, სადაც გამოყავთ თესლის ჯიშები, რომლებიც ყველაზე გამოსადეგია ამ ადგილისათვის. ცენტრის მუშაობას ხელმძღვანელობს საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან ექიმი, ინსტრუქტორები და მასწავლებლები.

სოციალური ცენტრის საბჭოს მდივანმა ჰამალ მურსიმ ილაპარაკა, რომ ასეთი სოციალური ცენტრები უკვე შექმნილია ორასზე მეტი. მთავრობის გადწყვეტილებით, ხუთწლედში ეგვიპტის სხვადასხვა პროვინციაში უნდა შეიქმნას 825 ასეთი ცენტრი.

საზოგადოებრივი სამსახურის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ფუად გალალმა და ადგილობრივი საბჭოს მდივანმა ჰამალ მურსიმ დ. ტ. შეპილოვსა და მის თანმხლებ პირებს გააცნეს სკოლა, საავადმყოფო, შრომითი სახელოსნოები, სასოფლო-სამეურნეო გამოფენა და ინტერნატი, უამბეს ცენტრის მუშაობაზე. დ. ტ. შეპილოვმა დიდი ინტერესი გამოიჩინა ცენტრის საქმიანობისადმი და ბევრი კითხვა მისცა სოციალური მომსახურებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენების შესახებ.

დ. ტ. შეპილოვმა სოციალურ ცენტრ ბერნეშტში შემდეგი სიტყვა წარმოთქვა:

„ძვირფასო მეგობრებო!

ახლა ჩვენ სიამოვნებით გავიცანით ახალი კულტურის ერთ-ერთი კერა — სოციალური ცენტრი ბერნეშტი, მისი სკოლა, საავადმყოფო, შრომითი სახელოსნოები, სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. მე მსურს ვისარგებლოთ ამ შემთხვევით, რათა მადლობა გადავუხადო ეგვიპტის მთავრობას, პატივცემულ პრეზიდენტ ჰამალ აბდელ ნასერს და მთელ ეგვიპტელ ხალხს იმ გულთბილ და გულითადი მიღებისათვის, რომელიც აღმოგვიჩინეს, კეთილი გრძნობებისათვის საბჭოთა ხალხისადმი, მრავალი სურვილისათვის — ბედნიერად განვითარდეს საბჭოთა კავშირსა და ეგვიპტის რესპუბლიკას შორის დამყარებული მეგობრული ურთიერთობა. ჩემი სურვილია აგრეთვე გადაცეს მთელ ეგვიპტელ ხალხს მისალმებისა და მეგობრობის მზურვალე სიტყვები სსრ კავშირის მთავრობისა და მთელი საბჭოთა ხალხისაგან, რომლებიც უცხოელესი ინტერესით და ღრმა თანაგრძნობით ეკიდებიან ეგვიპტის მამაცურ ბრძოლას თავისი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის, არაბთა სხვა სახელმწიფოების დამოუკიდებლობისათვის, თავისი ეროვნული აღორძინებისათვის და ქვეყნის აღმავლობისათვის, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირი მშვიდობისმოყვარულ და მეგობრულ პოლიტიკას ახორციელებს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ. ამ პოლიტიკას საფუძვლად უდევს არა დროებითი ან ტაქტიკური მოსაზრებანი, არამედ გამოხატავს საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს. როგორც კოლონიალიზმის პრინციპულმა მოწინააღმდეგეებმა, ჩვენ სამუდამოდ უარვყავით ყოველგვარი ფორმის კოლონიალური პოლიტიკა საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის პირველსავე დღეებში. ჩვენ უკვე მაშინ გადაჭრით მოვუღეთ ბოლო ყოფილ მეფის რუსეთის ყველა არათანასწორუფლებიან სამარცხვინო ხელშეკრულებას აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ჩვენ განუწყვეტლივ და თანმიმდევრულად ვაშენებდით და ვაშენებთ ჩვენს ურთიერთობას ამ ქვეყნებთან ახალ საწყისებზე — სრული თანასწორობის, ეროვნული ღირსებისა და სუვერენიტეტის პატივისცემის საწყისებზე, აღმოსავლეთის ყველა იმ ქვეყნებისადმი ამხანაგური მხარდაჭერისა და მათთან გულწრფელი მეგობრობის საწყისებზე, რომლებიც იცავენ თავიანთ სამართლიან საქმეს.

ჩვენმა, მასწავლებელმა და აღმოსავლეთის ხალხთა დიდმა მეგობარმა ვ. ი. ლენინმა განმარტა, რომ დადგებოდა ის დრო, როცა საზოგადოებრივი განვითარების უძლეველი კანონების ძალით საბოლოოდ გაიღვიძებდნენ და ახალ ცხოვრებას შეუდგებოდნენ კოლონიალიზმით ჩაგრული ხალხები და გადამწყვეტ ბრძოლას დაიწყებდნენ თავიანთი განთავისუფლებისათვის. ეს დრო დადგა. ჩვენს თვალწინ ირღვევა ხალხებისათვის საძულველი კოლონიური სისტემა იმპერიალიზმისა, ნგრება ათობით ახალი სახელმწიფო, ასეულ მილიონობით ადამიანი ირაზმება დამოუკიდებელი ისტორიული შემოქმედებისათვის. არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ საბჭოთა კავშირი ბუნებრივი მოკავშირე და მეგობარია ამ ხალხებისა და სახელმწიფოებისა, რომელნიც თავისუფლდებიან, რომ იგი კოლონიალიზმის ყოველგვარი ფორმისა და გამოვლინების წინააღმდეგია, აგრესიული ბაღდადის სამხედრო ბლოკი იქნება იგი, თუ კოლონიალიზმის ისეთი ფორმები, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობენ დასავლეთ ევროპაში ან გოაში.

საბჭოთა კავშირი არ ეძებს ახლო აღმოსავლეთში, ისევე როგორც მსოფლიოს ყოველ სხვა რაიონში, რაიმე განსაკუთრებულ უფლებებს ან უპირატესობას. საბჭოთა კავშირს თავის თვალუწვდენ ტერიტორიაზე აქვს საკმაოდ ბუნებრივი სიმდიდრე — ნავთობის, ყოველგვარი მადნის, ქვანახშირის კოლოსალური საბადოები, აქვს ყოველივე, რაც კი საჭიროა — თავისი მაღალგანვითარებული მძლავრი თანამედროვე ინდუსტრია, რომელიც სწრაფად იზრდება, აყვავებული სოფლის მეურნეობა.

ჩვენ უცხო მზარეში არ ვეძებთ გამდიდრების წყაროებს, ჩვენ საკმაოდ მოგვეპოვება საკუთარი სიმდიდრე და გვინდა ვიცხოვროთ ჩვენს საკუთარ ხარჯზე. ამიტომ არაბთა ქვეყნებს შეუძლიათ საბჭოთა კავშირი მიიჩნიონ თავიანთ უანგარო, ერთგულ და საიმედო მეგობრად.

ამასთანავე საბჭოთა კავშირი არ აპირებს ხელი შეუწყოს არაბთა ქვეყნების ხალხთა მტრობის გაღვივებას დასავლეთის ამა თუ იმ სახელმწიფოს მიმართ. პირიქით, ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ მიეაღწიონ არსებული დაძაბულობის შენელებას დედამიწის ამ უბანშიც. ჩვენი პოლიტიკის პირველი და მთავარი მიზანი საერთოდ და, კერძოდ ახლო და შუა აღმოსავლეთში, — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებაა. მშვიდობა და მშვიდობიანი თანაშრომლობა სახელმწიფოთა შორის, როგორც დიდ, ისე პატარა სახელმწიფოებს შორის, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი წყობილების განსხვავებისა — ასეთია ჩვენი ძირითადი საგარეო-პოლიტიკური პრინციპი. ეს პრინციპი გამოიცადა აგრეთვე აზიისა და აფრიკის ქვეყნების განდევნის კონფერენციამ, რომლის აქტიური მონაწილე იყო ეგვიპტე.

საბჭოთა კავშირი სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებთან ერთად იღებს, როგორც თქვენც იცით, მტკიცე და ეფექტიან ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, შეიარაღების საყოველთაო შემცირების განხორციელება, სხვადასხვა სახელმწიფოს მოღვაწეებს შორის ურთიერთობის და კონტაქტების გაფართოება. ამ მუშაობას უკვე მოაყვა ყველასათვის თვალსაჩინო დადებითი შედეგები. იგი გრძელდება და გაგრძელდება, მიუხედავად იმ წინააღმდეგობისა და ყოველგვარი ხრიკებისა, რასაც მიმართავენ აგრესიული ძალები, რომელნიც დაინტერესებული არიან სახელმწიფოებს შორის დაძაბული ურთიერთობის შენარჩუნებით.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება შეესაბამება ყველა ხალხს, მათ შორის ჩვენი ორივე ქვეყნის ხალხების ინტერესებს. ჩვენ ვიცით, რომ ეგვიპტის წინაშე, ისე როგორც სხვა არაბული ქვეყნების წინაშე, ახლა მთელი სიგრძე-სიგანით ისახება მეტად რთული ამოცანები სახელმწიფოებრივი მშენებლობის დარგში, ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში, ეროვნული კულტურის აღორძინებისა და აღმავლობაში, კულტურისა, რომელსაც ათასწლოვანი ტრადიციები აქვს.

ჩვენ კარგად გვესმის, თუ რა უდიდესი სიძნელეებია დაკავშირებული ამ ამოცანების გადაჭრასთან, კოლონიალიზმის მძიმე შედეგების ლიკვიდაციასთან, კოლონიალიზმისა, რომელიც დიდხანს ბოჭავდა ნიჭიერი და შრომისმოყვარე ეგვიპტელი ხალხის შემოქმედებითი ძალების განვითარებას. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ საბჭოთა კავშირის ხალხები თვითონ განიცდიდნენ ასეთ სიძნელეებს, აგრეთვე საფრთხეს, რაც მტრული იმპერიალისტური ძალებისაგან გამომდინარეობდა.

ნება მიბოძეთ ჩვენი მშენებლობის პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების საფუძველზე განვაცხადო, რომ ზეთელი ეს სიძნელეები და საფრთხე სულაც არ არის დაუძლეველი. ამ სიძნელეთა დაძლევა სავსებით შესაძლებელია, თუ ხალხმა, თუ მთავრობებმა იციან რისთვის იბრძვიან, რა მიზნების მიღწევა სურთ, და. თუ ნამდვილად მიეცემა გასაქანი ხალხის შემოქმედებითს ძალებს. არაბული ანდაზა ამბობს: „იპოვე თანამგზავრი, სანამ გზას გაუდგებოდე; იპოვე მეზობელი, სანამ სახლის შენებას შეუდგებოდე“.

აღმოსავლეთის დამოუკიდებელი ქვეყნების ალიანსის ახლანდელ ახალ პირობებში, იმ პირობებში, როდესაც დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც არის არაბთა მეგობარი მრავალი და ძლიერი სახელმწიფო, რომლებიც ემხრობიან მშვიდობას და ხალხთა შორის გულწრფელ თანამშრომლობას, თქვენ გყავთ კარგი თანამგზავრებიც და კარგი მეზობლებიც. ამ პირობებში მით უფრო არ არის ისეთი სიძნელე და საფრთხე, რომელიც გაუძლებდეს თქვენს ტერიტორიულ და კეთილშობილურ მისწრაფებას. მაგრამ საშინაო მშენებლობის იმ გეგმების, ეგვიპტის სახელმწიფოს ყოველმხრივი აღმავლობისა და განვითარების გეგმების განხორციელებისათვის, რომლებიც თქვენ დასახეთ და რომლებზედაც თქვენ ლაპარაკობთ ჩვენთვის გასაგები სიამაყით, საჭიროა უზრუველყოფილ იქნას ხალხთა მშვიდობა და უშიშროება. საბჭოთა კავშირის ხალხები, რომლებიც მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევიან, ისევე როგორც თქვენ, დაინტერესებული არიან მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფით, ეჭვი არ არის, რომ ამან არ შეიძლება არ შეუწყოს ხელი ჩვენი ქვეყნების დაახლოებას, მათ შორის თანამშრომლობის გაფართოებას. სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ მოკლე ხანში, რაც ეგვიპტეში ჩამოვედი პირველი ჩამოსვლის შემდეგ გავიდა, აქ დიდი ცვლილებები მოხდა. ეგვიპტე ეროვნული გრძნობების დიდი აღმავლობის პერიოდს განიცდის. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს არაბთა სხვა ქვეყნების ხალხებისათვისაც.

ეროვნული მრეწველობის განვითარების ღონისძიებათა განხორციელების დაწყება, და კულტურული რეფორმების განხორციელების დაწყება, სოციალური და კულტურული რეფორმების დაწყება, სოციალური ცენტრების შექმნა და უდაბნო მიწების ათვისება ათ-თაპირარის პროვინციაში — ყოველივე ეს, აგრეთვე ახალგაზრდა ეგვიპტის რესპუბლიკის სხვა ღონისძიებანი ბევრ რამეს მეტყველებენ.

დიდად გაიზარდა აგრეთვე ეგვიპტის საერთაშორისო ავტორიტეტი. იგი დიდწონიანი ფაქტორი გახდა ახლო აღმოსავლეთში მშვიდობისათვის ბრძოლაში, კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, იმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს თავს მოახვიონ კოლონიზატორული სამხედრო ბლოკები, როგორიც არის ბაღდადის ბლოკი, რომელსაც ბატონმა პრეზიდენტმა ჰამალ აბდელ ნასერმა სამართლიანად უწოდა ხალხთა საპყრობილე.

საბჭოთა კავშირი ილაშქრებდა და ილაშქრებს სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ. საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმები თვით ხალხის, თვითეული ქვეყნის საქმეა, თუმცა ჩვენ, მარქსისტები, დარწმუნებული ვართ, რომ საზოგადოებრივი განვითარების გარდუვალი შინაგანი კანონების ძალით თვითეული ქვეყანა, ამასთან ყოველი მთგანი მისთვის დამახასიათებელი ისტორიული თავისებურებებით, მივა სოციალიზმთან.

საბჭოთა კავშირი მოითხოვდა და მოითხოვს, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებს უზრუნველყოფილი ჰქონდეთ თავისუფალი, დამოუკიდებელი, სუვერენული განვითარების შესაძლებლობა, რომ ყველა სახელმწიფო მტკიცედ ასრულებდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამის პრინციპებს. მხოლოდ ეს არის სიბჭოთა კავშირის ნამდვილი ინტერესი ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში. ამასთან ჩვენ, უეჭველია, გვსურს გავაუმჯობესოთ ურთიერთობა და დავამყაროთ მეგობრობა მსოფლიოს ყველა სხვა სახელმწიფოსთან, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებთან, საფრანგეთთან, ინგლისთან, საბერძნეთთან, თურქეთთან, ყველა ჩვენს მეზობელთან.

ჩვენ ვახორციელებთ შესაბამის ღონისძიებებს ამ მიმართულებით და კვლავაც ყოველნაირად ვეცდებით ამას. თავისთავად ცხადია, რომ საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესება დასავლეთის სახელმწიფოებთან არ ხდება და არც შეიძლება მოხდეს არაბთა ქვეყნებთან, ჩვენს აღმოსავლეთელ მეგობრებთან ჩვენი კარგი ურთიერთობის ხარჯზე. ამის იქედან ნურავის ექნება. მაშ ვეცადოთ, რომ შემდგომ განვამტკიცოთ მეგობრობა და ძმობა ეგვიპტელ ხალხსა და საბჭოთა ხალხს შორის“.

დ. ტ. შეპილოვის სიტყვა შეკრებილებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს და სიტყვის დროს ბევრჯერ გაისმა მქუხარე ტაში და მოწონების შეძახილები. როცა დ. ტ. შეპილოვმა ილაპარაკა მეგობრულ ურთიერთობაზე, რომელიც ბედნიერად დამყარდა საბჭოთა კავშირსა და ეგვიპტის რესპუბლიკას შორის, გაისმა შეძახილები: „გაუმარჯოს მეგობრობას ეგვიპტელ ხალხსა და საბჭოთა ხალხს შორის!“, „გაუმარჯოს მეგობრობას თავისუფალ ხალხებს შორის!“ მოწონების ძლიერი შეძახილებით შეხვდნენ შეკრებილნი დ. ტ. შეპილოვის მიერ მოყვანილს ეგვიპტის პრემიერ-მინისტრ ჰამალ აბდელ ნასერის სიტყვებს, რომელმაც ხალხთა საპყრობილე უწოდა აგრესიულ ბაღდადის პაქტს.

გაიძახოდნენ ლოზუნგებს: „გაუმარჯოს ჰამალ აბდელ ნასერს!“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს — ეგვიპტის მეგობარს!“.

დ. ტ. შეპილოვმა მოუწოდა შეკრებილთ ეგვიპტისა და საბჭოთა ხალხებს შორის მეგობრობისა და ძმობის შემდგომი განმტკიცებისაკენ. მისმა ამ საბოლოო სიტყვებმა გამოიწვია მქუხარე შეძახილები: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!“, „გაუმარჯოს დამოუკიდებელ და თავისუფალ ეგვიპტეს!“, „გაუმარჯოს რუსებს — ჩვენს ძმებს!“.

სოციალურ ცენტრ ბერნეშტიდან წასვლის წინ დ. ტ. შეპილოვმა შემდეგი ჩანაწერი დატოვა სტუმართა წიგნში: „ეგვიპტის რესპუბლიკის ახალი კულტურის ერთ-ერთ ცენტრს — ბერნეშტს ყოველგვარ წარმატებას ვუსურვებ მუშაობაში ეგვიპტის შრომისმოყვარე და მაცი ხალხის საკეთილდღეოდ“.

* * *

ᲙᲐᲘᲠᲝ, 19 ივნისი. (საკუთარი). სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა 18 ივნისს საღამოს ვიზიტი გაუკეთა ხელმძღვანელი რევოლუციური საბჭოს წევრს ალბდელ ჰაკიმ ამერს და მეგობრული საუბარი ჰქონდა მასთან.

ეგვიპტის პრემიერ-მინისტრმა ჰამალ აბდელ ნასერმა დარბაზობა გამართა

ᲙᲐᲘᲠᲝ, 19 ივნისი. (საკუთარი). ეგვიპტის ეროვნული დღესასწაულის — დამოუკიდებლობისა და რესპუბლიკის დღის გამო ეგვიპტის პრემიერ-მინისტრმა ჰამალ აბდელ ნასერმა 18 ივნისს კაიროს ოფიცერთა კლუბში გამართა დიდი დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ ხელმძღვანელი რევოლუციური საბჭოს წევრები, მინისტრები, დღესასწაულზე ჩამოსული სტუმრები, უცხოეთის დელეგაციები და ეგვიპტეში აკრედიტებული საელჩოთა და მისიების მეთაურები, ეგვიპტის შეიარაღებული ძალების გენერლები და ოფიცრები, პასუხისმგებელი თანამდებობის პირები.

დარბაზობას დაესწრო ეგვიპტის მთავრობის მოწვეული ეგვიპტეში ჩამოსული სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი.

დარბაზობაზე დ. ტ. შეპილოვის გამოჩენას დამსწრენი მქუხარე ოვაციით შეხვდნენ. გაისმა შეძახილები „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ეგვიპტის მეგობრობას!“.

სტუმრებისათვის ეგვიპტის მსახიობთა ძალებით მოეწყო კონცერტი. დარბაზობას დაესწრო რამდენიმე ათასი კაცი.

მაო ძე-დუნმა მიიღო საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაცია

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 18 ივნისი. (საკუთარი). როგორც სინხუას საგენტო იუწყება, დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა მიიღო საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაცია დელეგაციის ხელმძღვანელის საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. ა. რაპოხინის მეთაურობით.

მიღებაზე იყვნენ აგრეთვე სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ლიუ შაო-ცი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი, პრემიერის მოადგილე დენ სიაო-პინი, აგრეთვე ჩინეთის ახალგაზრდობის ახალ-დემოკრატიულ კავშირისა და სრულიად ჩინეთის დემოკრატიული ახალგაზრდობის ფედერაციის პასუხისმგებელი მუშაკები.

შეთანხმება სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკების შედეგად, რომელიც მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, 1956 წლის 18 ივნისს მოსკოვში ხელი მოეწერა შეთანხმებას სბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ. მოსკოვსა და ბერლინს შორის ფრენის უფლება ენიჭებათ როგორც საბჭოთა, ისე გერმანიის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) სამოქალაქო ავიაციის თვითმფრინავებს.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს: სსრ კავშირის მთავრობის დავალებით — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს უფროსი გენერალ-მაიორი ს. ა. ფალორინოვმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დავალებით — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ჰერბერტ გროუნშტეინმა. (საკუთარი).

ნორვეგიაში ახალი პარტია შეიქმნა

ᲝᲡᲚᲝ, 18 ივნისი. (საკუთარი). გაზეთები იუწყებიან, რომ გუშინ ოსლოში გაიმართა კრება, რომელზეც შეიქმნა ნორვეგიის ახალი პოლიტიკური პარტია. პარტიამ მიიღო ნორვეგიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელწოდება. პარტიის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია მუშათა პარტიის ყოფილი წევრი პაიალდ კვალუმი.

კრებამ მიიღო წესდება და პოლიტიკური პროგრამა, რომელშიც, კერძოდ ნათქვამია, რომ პარტია მოითხოვს ნორვეგიის გამოსვლას ატლანტიკის პაქტიდან, სამხედრო ბიუჯეტის მნიშვნელოვნად შემცირებას და ხალხის მასების ცხოვრების დონის ამაღლებას.

ინგლისის ატომური იარაღის გამოცდა

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 19 ივნისი. (საკუთარი). ლონდონის რადიო იუწყება, რომ „ინგლისელებმა მონტე-ბელოს (ავსტრალიის დასავლეთ სანაპიროს მახლობლად) კუნძულების ახლოს მოახდინეს ატომური ბომბის ახალი საცდელი აფეთქება“.

სტუდენტები დიპლომებს ქარხანაში მიიღებენ

რამდენიმე დღის წინათ თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის სამკითხველო დარბაზში ჩვეულებრივზე მეტი ხალხი შეიკრიბა. აქ იყვნენ ინჟინრები, კონსტრუქტორები, მუშები.

პირველი საათია. დარბაზში შემოდიან საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლექტორები, სტუდენტები.

აქ მოეწყო ინსტიტუტის სტუდენტთა სადიპლომო პროექტების დაცვა.

აი დაფაზე გაშლილ ნახაზებს მიუახლოვდა მაღალი ახალგაზრდა. მან დაბალი ხმით დაიწყო ლაპარაკი. აღელვება ეტყობა. ეს გასაგებიც არის, რადგან მისი მასწავლებლების გარდა, დაცვას ესწრებიან პრაქტიკოსი მუშები, რომლებსაც ყოველდღიურად უხდებათ მანქანების თვითეულ ნაწილზე მუშაობა. მაგრამ მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დიპლომანტი, სტალინური სტიპენდიატი კ. ქველიძე მალე სძლევს აღელვებას და უფრო გაბედულად და დამაჯერებლად განმარტავს თავისი სადიპლომო თემის — „ოთხადგილიანი მუხლუხა ავტომობილის“ — თვითეულ წვრილმანს. თემის დასამუშავებლად დიპლომანტი მივლინებული იყო ქ. გორაში მოლოტოვის სახელობის ავტოქარხანაში, სადაც სწავლობდა სხვადასხვა ავტომობილებს. კერძოდ, მან გულდასმით შეისწავლა 11-ადგილიანი მუხლუხა ავტომობილის „გაზ-47“-ის საქარხნო მონაცემები. ამის საფუძველზე დიპლომანტმა დამოუკიდებლად დააგეგმარა ოთხადგილიანი მუხლუხა ავტომობილი, მანქანას მოძრაობა შეუძლია ყოველგვარ ამინდში. სახელმწიფო საგამოცდო კომისიამ მაღალი შეფასება მისცა ქველიძის სადიპლომო პროექტს. მისი ნაშრომი შეფასებულ იქნა „ფრიადზე“.

ასეთივე მაღალი შეფასება დაიმსახურა დიპლომანტ შ. ფალიანის სადიპლომო პროექტმა თემაზე — „მსუბუქი სატაქსმოტორო მეუნრნეობა 500 ავტომობილისათვის“. ეს პირველი სვანია, რომელმაც შეისწავლა ავტოსაქმე. დიპლომანტმა თავის ნაშრომში მეტად მოხერხებულად გამოიყენა ავტომობილების მექანიკური გასარეცხი მანქანის დანადგარი, რ[illegible] საქართველოს ავტომობილების მექ[illegible] ყოველდღიური მოვლის საქმეში. ამავე დრ[illegible] ამ მანქანის გამოყენება ათავისუფლებს მუ[illegible] ხელს მძიმე სამუშაოსაგან. ფალიანმა წინ[illegible] დიპლომი პრაქტიკაზე ყოფნის დროს შეისწ[illegible] ლა მოსკოვის პირველი სატაქსმოტორო პა[illegible] კის ოთხსართულიანი გარაჟ-სადგომი და [illegible] ვის სადიპლომო პროექტში მოგვცა ამ[illegible] ტაპის სამსართულიანი შენობა, მბოლოდ [illegible] კუთარი ორიგინალური გადაწყვეტით.

აღნიშნულმა პროექტმა დიდი ინტერესი [illegible] მოიწვია დამსწრეთა შორის. დიპლომანტს შ[illegible] კითხვებით მიმართეს ქარხნის კონსტრუქტორ[illegible] მა ს. ნაფეტვარიძემ, პარტბიუროს მდივანმ[illegible] დ. ნიურაძემ და სხვებმა.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია დ[illegible] პლომანტ შ. ოსკანაშვილის სადიპლომო ნამ[illegible] შევარმა. მისი თემა თვით ქარხნის მიერ [illegible] ნაკარნახევი. კერძოდ, იგი ეხებოდა თბილ[illegible] სის ავტოსარემონტო ქარხნის ელექტრო[illegible] ნიკური საამქროს რეკონსტრუქციას. დიპ[illegible] მანტმა ამოცანას კარგად გაართვა თავი. მ[illegible] პროექტის მიხედვით არსებული ელექტრომ[illegible] წყობილობის რემონტის ინდივიდუალური მ[illegible] თოდი შეიცვლება ნაკადური მეთოდით, რ[illegible] ხელს შეუწყობს მუშახელის დასპეციალ[illegible] და თვითღირებულების შემცირებას.

ამავე დღეს სადიპლომო პროექტი თემაზ[illegible] „აგრეგატების კაპიტალურად შემეკეთებე[illegible] ქარხანა „ზის-150“ მარკის 5.250 ავტომობ[illegible] ლისათვის“ დაიცვა დიპლომანტმა ს. ჯანტ[illegible] რიამ.

სადიპლომო პროექტების დაცვა მიმდინ[illegible] რეობს ინსტიტუტის სხვა ფაკულტეტებზე[illegible] წელს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს ამთავრებ[illegible] 635 ახალგაზრდა ინჟინერი, რომლებიც სამ[illegible] შაოდ გაემგზავრებიან ჩვენი დიდი სამშობ[illegible] ლოს სხვადასხვა რაიონში.

ლ. ᲮᲣᲑᲣᲚᲐᲕᲐ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: დიპლომანტი კ. ქველიძე იცავ[illegible] სადიპლომო პროექტს.

ფოტო შ. გოკაძისა.

საერთაშორისო შეხვედრები

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ. 18 ივნისი კიროვის სახელობის სტადიონზე გაიმართა მორიგი საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი „ვისმუტი“ (კარლ-მარქს-შტადტი) და ლენინგრადის „შრომითი რეზერვები“. საინტერესო სპორტული ბრძოლა, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, დამთავრდა ფრედ 1:1.

ᲛᲘᲜᲡᲙᲘ. 19 ივნისი. საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში შეეკიბა კლუბ „სტიუერსა“ და მინსკის „სპარტაკის“ გუნდებს შორის დამთავრდა მინსკელ ფეხბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 4:0.

სსრ კავშირის პირველობაზე

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ. 19 ივნისი. XVIII ჩემპიონატის მორიგი შეხვედრა ფეხბურთში გაიმართა ბის ლიდერის მოსკოვის „სპარტაკისა“ — ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდებს შორის [illegible] თავრდა სპარტაკელთა ბრწყინვალე გამარჯ[illegible] ბით 6:0.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 19 ივნისი. დედაქალაქის „[illegible] ნამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა [illegible] კავშირის პირველობის გათამაშების [illegible] შეჯიბრება ფეხბურთში მოსკოვის „ლოკომ[illegible] ტივისა“ და „ტორპედოს“ გუნდებს შორ[illegible] მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1.

რედაქტორის მოადგილე
რ. ᲫᲣᲠᲪᲘᲙᲘᲫᲔ.

ᲓᲦᲔᲡ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ — აბესალომ და ეთერი, **რუსთაველის სახელობის** — ოტელო, **მარჯანიშვილის სახელობის** — ნანა, **სომხური დრამის** — ხალისანი მეგობრები (რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლი), **მუსიკალური კომედიის** — სიყვარულის კვანძი, **ფილარმონიის საზაფხულო თეატრი** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი.

ᲙᲘᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო). **ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **ისანი** (საზამთრო და საზაფხულო), **პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები, ორჯონიკიძის სახელობის პარკი** — მკვლელობა დანტეს ქუჩაზე, **26 კომისრის სახელ